# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 063 (12 439) 17 მარტი ორშაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი



## გრანდების შავი უქმეები

მსოფლიო ფეხბურთი »» 6-10

## ავსტრალია ჰემილტონისაა

ფორმულა 1 »» 16



# რატიგოლი



გუშინ ვაკეში. ლოკომოტივი-ზესტაფონი 1:1

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## 2003 წლის 7 დეკემბრის შემდეგ ალექსიძემ საქართველოში ისევ გაიტანა

საქართველოს ჩემპიონატი. XVII ტურის მიმოხილვა »» 2-4

## გოგოუამ გოლით დაიწყო



## უხვი უქმეები: ექვსი ქართული გოლი ევროპაში

»» 5



## ქარმა ცხრილს სახურავი ახადა

საქართველოს ჩემპიონატი »» 11

European Nations Cup
Championnat Européen des Nations

ერთა თასი. რუსეთმა რუმინეთს სძლია

## ერთა თასის ბედი ჩვენსა და რუსეთს შორის გაირკვევა

»» 13

ეროვნული ბიბლიოთეკა www.pfl.ge

# საქართველოს ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. მეორე წრე. XVII ტური

## რატის ქულა

**ლოკომოტივი-ზესტაფონი**

**1:1**

16.03. თბილისი. მ. მესხი
200 მაყურებელი

0:1 ვიეირა (9. ბიტოოს პასით), 1:1 ალექსიძე (48. დარასელიას პასით)

ლოკომოტივი: ალავიძე – ფოფხაძე, გუშარაშვილი, ფარულავა, ქუხილავა – გულორდავა (79. წულაძე), ჩხეტიანი, ბარბაქაძე, ქუცურუა (90. ლ. ჩაგელიშვილი), დარასელია – დ. ჩაგელიშვილი (46. ალექსიძე).

*სათადარიგოები:* მიგინეიშვილი, შალიკაშვილი, კაჭახიძე, ალავერდაშვილი.

ზესტაფონი: რ. კვასხვაძე - თოდუა, საჯაია, ლობჟანიძე, რ. ონიანი – ბენაშვილი, კესანი, ხიდეშელი (72. იონანიძე, 80. ნ. კვასხვაძე), ვიეირა – ზ. გოცირიძე, ბიტოო (65. დაუშვილი).

*სათადარიგოები:* ჭანტურია, გელაჭეიშვილი, აკუასაგა, ჯანელიძე.

გაფრთხილება: რ. ონიანი (25), კესანი (33), ბიტოო (53).

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი.

**9.** 0:1 - ბიტოომ კარგ პოზიციაში მყოფი ვიეირა შენიშნა და ბურთი თავით დაუგდო. ბრაზილიელმა ანგარიში ეფექტური დარტყმით გახსნა.

**12.** ხიდეშელის თავური ალავიძემ აილო.

**14.** დარასელიამ ქუცურუას კარგი პასი გაუკეთა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ცუდად დაარტყა და სტუმართა მეკარემ ადვილად აულო.

**36.** ზესტაფონელებმა ხიდეშელი ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანეს, მაგრამ გიორგიმ დარტყმა დაახანა და ლოკომოტიველმა მცველებმა ხიფათი განმუხტეს.

**45.** გოცირიძემ ფლანგიდან საჯარიმოში კარგად მონახა ვიეირა, მაგრამ ბრაზილიელმა გოლის გატანის რეალური შანსი ხელიდან გაუშვა - ახლო მანძილიდან კარს გადააცილა.

**48.** 1:1 დარასელიას გრძელი პასი ალექსიძემ ლამაზი გოლით დააგვირგვინა.

**53.** ბიტოომ წესების დარღვევით გაიტანა გოლი, რაც არბიტრს არ გამოპარვია და არ ჩათვალა.

**59.** გოცირიძის დარტყმული ალავიძემ მოიგერია.

**89.** ალექსიძის დარტყმას მეკარე კვასხვაძე გადაეფარა.

**90.** კესანის დარტყმული ალავიძემ აილო.

**გ**ასავარდნ ზონაში მყოფ "ლოკომოტივს" გუშინ ქულა **რატი ალექსიძემ** მოაპოვებინა. ფორვარდმა, კარიერაში მესამედ რომ დაიწყო დიდი ფეხბურთის სავალი გზა, მოედანზე გამოჩენიდან 3 წუთში გაიტანა. გუშინდელ მატჩს ფეხბურთის ფედერაციის თავკაცების გარდა, **პეტარ სეგრტიც** ესწრებოდა, რომელიც ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე გამორჩეულ ფეხბურთელებზე **კლაუს ტოპმიოლერს** აწვდის ცნობებს. ალექსიძის თამაშით გუშინ ისიც კმაყოფილი დარჩა და რატიმ ასე თუ გააგრძელა, შესაძლოა ეროვნულ ნაკრებში დაბრუნებაზეც განაცხადოს პრეტენზია. საამმატჩოდ "ლოკომოტივი" კიდევ ერთი ახალი ფეხბურთელით, **ვიტალი დარასელიათი** გაძლიერდა. **გიორგი კიკნაძემ** დარასელია-ალექსიძის ტანდემი აამუშავა. ვფიქრობთ ეს შედეგსაც მოიტანს, გულშემატკივარსაც გაახარებს და ალბათ, ტრიბუნაზე მათ რაოდენობასაც გაზრდის.

ნწყილში ფავორიტად "ზესტაფონი" მიიჩნეოდა. იმერლებს მართლაც ჰქონდათ უპირატესობა და თამაშის მოგებაც შეეძლოთ, მაგრამ საგოლე მომენტები ვერ გამოიყენეს. ალბათ, ზესტაფონელთა თავკაცი **თემურ მახარაძეც** შეცდა, როცა **ბიტოო** შეცვალა და წინ მხოლოდ ერთადერთი ფორვარდი **ბექა გოცირიძე** დატოვა. მართალია, მახარაძემ **დაუშვილის** გამოყვანით შეახაზი გააძლიერა, მაგრამ მალევე მიხვდა მეორე ფორვარდის საჭიროებას და გამოცდილი **ზურაბ იონანიძე** შეუშვა მოედანზე, თუმცა მან 8 წუთში ტრავმა მიიღო.

გუშინდელ მატჩს ზესტაფონური ფეხბურთის ერთი ცნობილი ფიგურა, "მარგვეთის" ყოფილი პრეზიდენტი **ვასილ ხაჭაპურიძეც** ესწრებოდა, რომელსაც თავისუფლება ჰქონდა აღკვეთილი და გასულ ნოემბერში, გიორგობა დღეს გაათავისუფლეს.

"ზესტაფონის" ნახევარმცველ **გიორგი ხიდეშელს** გუშინ თამაში არ წაუვიდა. ამას დედაქალაქში ჩამოსული იმერელი ქომაგებისგან პროტესტი მოჰყვა. თუმცა, ყველაფერი ამით დასრულდა.

ზუგდიდის შემდეგ, "ზესტაფონმა" თბილისშიც 2 ქულა დაკარგა და "დინამო"-"ვიტ ჯორჯიის" ლიდერთა დუეტს უკვე 4 ქულით ჩამორჩება.

### მატჩის შემდეგ

**თემურ მახარაძე (ზესტაფონი):** "თავიდანვე ვიცოდით, რომ "ლოკომოტივთან" რთული მატჩი გვექნებოდა. ჩვენ შეგვეძლო ამ მატჩის მოგება, მაგრამ საგოლე მომენტები ვერ გამოვიყენეთ. რატომ შევცვალე ბიტოო? იმ მომენტში შუას ხაზის გაძლიერება გადავწყვიტე. დღეს საგრძნობლად დავზარალდით - გოცირიძეს თავი გაუტყდა, იონანიძეს კი კუნთი გაუწყდა."

**გიორგი კიკნაძე (ლოკომოტივი):** "კვლავაც აუტსაიდერებში ვართ და უკან დასახევი გზა არ გვაქვს. ალექსიძის შემდეგ კიდევ ერთი გამორჩეული ფეხბურთელით, ვიტალი დარასელიათი გავძლიერდით. რამდენიმე საჭირო ქულა უკვე ავიღეთ და მომდევნო ტურებშიც უნდა ავიღოთ ქულები. მით უმეტეს უშუალო კონკურენტებს შინ ვეთამაშებით. იმედი მაქვს ლიგაში ადგილის შენარჩუნებას შევძლებთ".

**დავით ცაბაძე**



ქუცურუა ლობჟანიძის (3) წინააღმდეგ — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## ვიტ ჯორჯიამ ჩემპიონი ჯაბათიც ჯაბნა



მატჩის ბედი პავლე დათუნაიშვილის გოლმა გადაწყვიტა — ნუგზარ სუარიძის ფოტო

**ოლიმპი-ვიტ ჯორჯია**

**0:1**

16.03. რუსთავი. ფოლადი
2 000 მაყურებელი

0:1 პ. დათუნაიშვილი (66)

ოლიმპი: შეყრილაძე - მგელაძე, ორბელაძე, რეხვიაშვილი - ჯოჯუა, გაბედავა (85. სტეფნაშვილი), ხუბუა, სებისკვერაძე (46. კახელიშვილი) - დევდარიანი - კოვალევსკი (46. იმედაძე), ომელიანოვი

*სათადარიგოები:* მეტრეველი, აფრიამაშვილი, კალანდაძე

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი - პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, ლომაია, ჯაფარიძე - ბეჭვაია, გ. დათუნაიშვილი, მელქაძე, კლიმიაშვილი - ლუჭაშვილი (51. ლიპარტია), სახოკია (80. ბერიაშვილი)

*სათადარიგოები:* ლურბელეიშვილი, ყველაშვილი, კვალინაძე, ინჯგია

გაფრთხილება: ლომაია (57), ბეჭვაია (67), კახელიშვილი (88)

არბიტრი: მ. ურუშაძე

**32.** ირაკლი კლიმიაშვილმა კარგად დააგორა "ოლიმპის" კარის გასწვრივ, მაგრამ გიორგი მელქაძემ რატომღაც ბურთი გაატარა.

**37.** ზაზა სახოკიას სახიფათოდ დარტყმული ბექა შეყრილაძემ მოიგდო ხელებში.

**46.** სახოკიამ მარცხენა ფლანგიდან ჩააწოდა, "ოლიმპის" კარის შორეულ ძელთან ბურთს ვასილ ლუჭაშვილი შესწვდა, მაგრამ ახლოდან ააცილა ფაქტობრივად ცარიელ კარს

**53.** სახოკიამ გადმოვარდნილ ბურთს 10-11 მეტრიდან დაჰკრა ფეხი და დიდი მანძილით ააცილა მიზანს.

**66.** 0:1 - ოლიმპელთა საჯარიმოში არეულობა შეიქმნა, ყველას პაატა დათუნაიშვილმა აჯობა და თავურით გამარჯვებისა შეაგდო.

**83.** კლიმიაშვილმა ფლანგური ჯარიმიდან კარში დაარტყა, "ოლიმპი" შეყრილაძემ იხსნა

**87.** პაატა დათუნაშვილმა მარჯვნიდან ჩააწოდა, კლიმიაშვილმა ყველას დაასწრო, მაგრამ ერთი-ორი მეტრიდან ბურთი ხარიხას გადაავლო.

**რ**უსთავის "ოლიმპი" ჯერაც საქართველოს ჩემპიონია, მაგრამ ჯანით და შესახედავად ვერ ჰგავს წინა სეზონის გუნდს - ამის თქმის საშუალებას გუშინდელი მატჩიც იძლევა.

ოლიმპელებს დისკვალიფიკაციის გამო ორი წამყვანი ფეხბურთელი აკლდა - მცველი **მიხეილ მახვილაძე** და შემტევი **რევაზ გეწაძე**, მაგრამ მათი არყოფნა ალბათ ვერ გაამართლებს **ანატოლი პისკოვეცის** გუნდის უნიათო თამაშს.

"ვიტ ჯორჯიამ" კი აგრესიულად და დინამიურად ითამაშა და სამ ქულასაც გამორჩა.

ქარში და უხარისხო მინდორზე ბურთის გაგორება ძალიან ჭირდა. ასეთ დროს განსაკუთრებით ბევრს ნიშნავს უპირატესობა ათლეტიზმში და გამძლეობაში - ამ კომპონენტებში ვიტელებმა პირწმინდად აჯობეს მეტოქეს.

შეხვედრა სანახაობრივად დიდი ხვითო რომ ვერ გამოდგა, ალბათ ქარს უნდა დავაბრალოთ - ბურთი უფრო მას ემორჩილებოდა, ვიდრე ფეხბურთელებს.

"ვიტ ჯორჯია" ბურთის ფლობის ხანგრძლივობაშიც ალემატებოდა "ოლიმპს", თუმცა პირველ ტაიმში საგოლე მომენტი არ შეუქმნია.

შესვენების შემდეგ სტუმრებს ნიათი მოემატათ. როგორც კი **ვასილ ლუჭაშვილმა** საგოლე შანსი გააცუდა, **ნესტორ მუმლაძემ** ის **ჯაბა ლიპარტიათი** შეცვალა. ჩაფსკვნილი, ტექნიკური ფორვარდი, აქტიური და მოუღლელი - ფეხბურთელი ერთი მატჩით არ ფასობს, თუმცა ვიტელებს რომ საინტერესო ახალგაზრდა გამოუჩნდათ, სადავო არ უნდა იყოს - ლიპარტია მეორე ტაიმში ვიტელთაგან ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

**პაატა დათუნაიშვილის** გოლის შემდეგ მოედანზე ვითარება არ შეცვლილა - "ოლიმპი" ხეირიანად ვერც კი გაიქაჩა პასუხის გასაცემად. ერთი ეგ იყო, **დავით დევდარიანმა** რამდენჯერმა გაიბრწყინა ინდივიდუალური თამაშით.

"ვიტ ჯორჯიას" შეხვედრის ბოლოს უპირატესობის გაზრდაც შეეძლო, მაგრამ **კლიმიაშვილს** სიზუსტემ უმტყუნა - საგოლე მომენტების გამოყენება ნამდვილად არ არის ვიტჯორჯიელთა ძლიერი მხარე.

მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე პისკოვეცის ნაცვლად მისი თანაშემწე **ვარლამ კილასონია** მოვიდა.

**ვარლამ კილასონია (ოლიმპი):** "რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი გვაკლდა, რამაც მნიშვნელოვნად იმოქმედა მატჩის შედეგზე".

**ნესტორ მუმლაძე:** "ქარის გამო ორივე გუნდს შეეშალა ხელი. ძლიერი მეტოქე გვყავდა და ძალიან მნიშვნელოვანი სამი ქულა მოვიპოვეთ".

**რჩეული:** მისმა ხისტმა და აგრესიულმა თამაშმა ბევრი შემატა "ვიტ ჯორჯიას". პაატა დათუნაიშვილმა მარჯვენა მცველად ითამაშა და შეტევაშიც კარგად ერთვებოდა. რა თქმა უნდა, გამარჯვების გოლიც რომ გაიტანა, ამიტომაც მივიჩნიეთ მატჩის საუკეთესო მოთამაშედ.

**დავით თავართქილაძე**
რუსთავი-თბილისი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 17 | 15 | 0 | 2 | 44-9 | 45 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 17 | 14 | 1 | 2 | 31-9 | 43 |
| 3. ზესტაფონი | 17 | 12 | 3 | 2 | 32-10 | 39 |
| 4. ოლიმპი | 17 | 9 | 3 | 5 | 17-12 | 30 |
| 5. ამერი | 17 | 9 | 2 | 6 | 26-18 | 29 |
| 6. ბორჯომი | 17 | 8 | 4 | 5 | 22-17 | 28 |
| 7. მესხეთი | 17 | 7 | 3 | 7 | 17-22 | 24 |
| 8. მგლები | 17 | 7 | 2 | 8 | 16-19 | 23 |
| 9. სიონი | 17 | 5 | 5 | 7 | 20-20 | 20 |
| 10. სპარტაკი | 17 | 4 | 4 | 9 | 7-18 | 16 |
| 11. მერანი | 17 | 4 | 1 | 12 | 8-27 | 13 |
| 12. ლოკომოტივი | 17 | 3 | 3 | 11 | 10-24 | 12 |
| 13. ბათუმი | 17 | 2 | 3 | 12 | 8+31 | 9 |
| 14. დილა | 17 | 1 | 4 | 12 | 7-29 | 7 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ხუციშვილი (დინამო) | 11 |
| გ. მერებაშვილი (დინამო) | 11 |
| იონანიძე (ზესტაფონი) | 8 |
| გელაშვილი (ვიტ ჯორჯია/ზესტაფონი) | 8 |
| გ. ნოდ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 8 |
| სპასოევიჩი (დინამო) | 7 |
| ტატანაშვილი (ამერი) | 7 |
| ჩასემი (სიონი) | 7 |

**მომდევნო ტური**

| 21 მარტი, პარასკევი | |
|---|---|
| 15:00 | ბათუმი-მერანი |
| 15:00 | ვიტ ჯორჯია-სიონი |
| 15:00 | ამერი-ბორჯომი |
| 15:00 | ზესტაფონი-დილა |
| **22 მარტი, შაბათი** | |
| 15:00 | მგლები-ლოკომოტივი |
| 15:00 | დინამო-სპარტაკი |
| 15:00 | მესხეთი-ოლიმპი |

# ქარწაღებულნი...

**მერანი-დინამო**

**0:2**

15.03. თბილისი. მერანი
500 მაყურებელი

0:1 ოდიკაძე (28. დილმელაშვილის პასით), 0:2 მერებაშვილი (90. ვანაძის პასით).

მერანი: თევდორაძე - ლოლაძე, გიგაური, ლ. გრიგალაშვილი (42. თავბერიძე), სარალიძე - ბესარაშვილი (65. იაგო დეისაძე), ქემაშვილი, ჯანგიძე, კობერიძე - ი. შენგელია, მ. ჟღენტი (76. იაკობ დეისაძე).

*სათადარიგოები:* დგებუაძე, ფურთუხია, ქოქიაშვილი.

დინამო: ოვონო - შ. კაშია, ზელიჩი (60. გ. კაშია), კრშკო, დობეში - ოდიკაძე (90. თომაშვილი), ხმალაძე, დილმელაშვილი, გ. მერებაშვილი - ხუციშვილი - ვანაძე.

*სათადარიგოები:* ლორია, ფირცხალავა, გველესიანი, ქანთარია, ნერგაძე.

გაფრთხილება: დობეში (51), გიგაური (58)

არბიტრი: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**6.** დავით ოდიკაძის ჩინებული პასის მერე მათე ვანაძე მეკარესთან პირისპირ რჩებოდა, მაგრამ მასპინძლები ძლიერმა ქარმა იხსნა.

**7.** რომან დობეში მეტოქის საჯარიმოში ჩანოდებას აპირებდა - ისევ და ისევ ძლიერი ქარის გამო ბურთი კინალამ "მერანის" კარში გავიდა.

**10.** დიდიე ოვონოს შეცდომით ლაშა ჯანგიძემ ვერ ისარგებლა.

**26.** მილოშ კრშკოს შეცდომის მერე ირაკლი შენგელიას სტუმრების დასჯა შეეძლო.

**28.** 0:1 - დავით დილმელაშვილის დიდოსტატური პასის მერე დავით ოდიკაძემ ეფექტური დარტყმით ანგარიში გახსნა.

**41.** საკამათო ეპიზოდი მასპინძელთა საჯარიმოში: მერებაშვილის წაქცევისთვის "დინამო" პენალტს ითხოვდა, "მერანი" კი - თამაშგარე მდგომარეობის დაფიქსირებას.

**53.** მარცხენა ფლანგზე მიხეილ კობერიძის ეფექტური გარღვევა პარტნიორებმა ვერ დააგვირგვინეს.

**63.** გიორგი მერებაშვილის ძლიერ დარტყმას რევაზ თევდორაძე იგერიებს.

**72.** ვანაძე-დილმელაშვილი-ხმალაძის ლამაზი კომბინაცია არაზუსტი დარტყმით დასრულდა.

**85.** სტუმრები აშკარა გოლს გადაურჩნენ: დობეშის უხეში შეცდომის მერე ჯანგიძე ხელსაყრელი პოზიციიდან ურტყამდა, მაგრამ ბურთი "დინამოს" კარის ხარიხას მოხვდა.

**90.** 0:2 - მათე ვანაძემ ჩინებული ასისტენტობა გაუწია გიორგი მერებაშვილს და ამ უკანასკნელის დარტყმაც ზუსტი აღმოჩნდა.

**ნ**ათქვამია - გამარჯვებულებს არ ასამართლებენო. ისიც კარგად ვიცით, კრიტიკა რომ არავის სიამოვნებს, მაგრამ რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ და ვთქვათ: მეორე წრეში "დინამო" ნამდვილად არ აჩვენებს საჩემპიონო ფეხბურთს. ყოველ შემთხვევაში, პირველ წრესთან შედარება არც შეიძლება და ამის მიზეზი, ალბათ, **დუშან უჰრინზე** კარგად არავინ იცის. აღარ გვინდა წინა მატჩების გახსენება და ბოლო შეხვედრაზე ვისაუბროთ, "დინამომ" დიდი გაჭირვებით რომ მოიგო.

რა თქმა უნდა, ერთპიროვნული ლიდერის არაშთამბეჭდავ თამაშზე შესაძლოა ამინდის ფაქტორმაც იმოქმედა - შაბათს მთელ საქართველოში ძლიერი ქარი იყო, მაგრამ ისანი-სამგორის რაიონში მთელი მატჩის დროს ქარიშხალის მსგავსი მძვინვარებდა. მაგრამ აშკარად არასაფეხბურთო ამინდი "მერანისთვის" აღარ იყო? **დავით ეჯიბიშვილის** გუნდმა, რაც შეეძლო, გააკეთა - ბოლომდე იბრძოლა და მეორე ტაიმში სულაც ლამის ტოლი-ტოლზე ეთამაშა მრისხანე მეტოქეს. ეგ კი არა, სტუმართა ლეგიონერების უხეში შეცდომები რომ გამოეყენებინათ, მასპინძლებს საპატიო ფრეზეც ექნებოდათ პრეტენზია. ლეგიონერები ტყუილად არ გვიხსენებია: პირველ ტაიმში ჯერ **დიდიე ოვონო** შეცდა და "მერანის" კაპიტანს **ლაშა ჯანგიძეს** სიზუსტე რომ გამოეჩინა, ცარიელ კარში ბურთსაც გაიტანდა. მატჩის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე კი **რომან დობეშის** შეცდომა კინალამ ორი ქულის დაკარგვად დაუჯდა "დინამოს" - დასარტყამ პოზიციაზე ისევ ჯანგიძე აღმოჩნდა, მაგრამ ბურთი ხარიხას მოხვდა. ისე, ალბათ, სხვა ლეგიონერებიც უნდა ვახსენოთ: **მილოშ კრშკო** პირველ წრეში გაცილებით სიამედოდ და, რაც მთავარია, მაღალ დონეზე ასპარეზობდა; **ნედ ზელიჩს** თამაშიდან თამაშამდე ასაკი ეტყობა; **ჯორჯ აკირემი** ტრავმირებულია, ხოლო **ილია სპასოევიჩი** დისკვალიფიკაციის გამო ტოვებდა შეხვედრას. ამ ორი უკანასკნელის არყოფნა "დინამოსთვის" უდიდესი დანაკარგი არ იყო - კვლავაც არცთუ ურიგო შთაბეჭდილება დატოვა **მათე ვანაძემ**. მართალია, ახალგაზრდა ფორვარდს ამჯერად გოლი არ გაუტანია, სამაგიეროდ მატჩის მიწურულს ჩინებული პასი მისცა **გიორგი მერებაშვილს** და "დინამოს" ლიდერმაც საბოლოო წერტილი დაუსვა შეხვედრას. ეს ყველაფერი 90-ე წუთზე მოხდა, მანამდე კი ორივე გუნდი ყველა ღონეს ხმარობდა ანგარიშის შესაცვლელად. ოღონდ, ეს უფრო მეორე ტაიმზე ითქმის, როცა გულშემატკივართა გასაოცრად "მერანი" ფავორიტმეტოქეს თამაშის ტემპშიც აჰყვა და როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტოლიც არაფერში დაუდო.

...ძლიერი ქარი რომ გარკვეულ კორექტივებს შეიტანდა თამაშში, უკვე მატჩის საწყის წუთებზევე დავრწმუნდით. ჯერ იყო და ვანაძეს ქარმა "წაართვა" ბურთი, მერე კი დობეშს ლამის საგოლე დარტყმა გამოუვიდა. პირველ ტაიმში "დინამოს" უპირატესობა აშკარა იყო. ამაში, ალბათ, მეტოქეც იყო დამნაშავე - "მერანი" არც ცდილობდა თამაშის გამწვავებას და ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოსდა ბედს იყო შეგუებული. სამაგიეროდ, მეორე ტაიმში მასპინძლები სრულიად გარდაიქმნენ და მეტოქეს ფიცხელი ბრძოლაც გაუმართეს. აქტიურად შემოვიდნენ შეცვლაზე **იაგო** და **იაკობ დეისაძეები,** მარცხენა ფლანგზე ერთი-ორი ლამაზი გარღვევა **მიხეილ კობერიძემაც** განახორციელა, თუმცა ოვონოს თავის ოსტატობის დემონსტრირება არ დასჭირვებია. იგივე ითქმის მის ახალგაზრდა კოლეგაზეც - **რევაზ თევდორაძის** კარს დინამოელები რამდენჯერმე კი დაემუქრნენ, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ბურთი მიზანს სცდებოდა. ისე, ზემოთ "დინამოს" ლეგიონერები ვახსენეთ და ისეც არ გვინდა გამოგვივიდეს, რომ თითქოს დანარჩენები "დაფრინავდნენ". ასე რომ არ არის, "მერანთან" მატჩის მეორე ტაიმმაც დაადასტურა - შეხვედრის ბოლოსკენ, შვიდწუთიან მონაკვეთში "დინამო" ორჯერ გადარჩა. თუმცა კლასში სხვაობამ მაინც თავისი გააკეთა და ზემოთ ნახსენები 90-ე წუთიც დადგა, როცა მერებაშვილის გოლმა "დინამოს" ქომაგები დააწყნარა კიდეც და, რა თქმა უნდა, გაახარა.

**გია ტუხაშვილი**




გოლების ავტორები - დავით ოდიკაძე და გიორგი მერებაშვილი

# გოლები ქარმა წაიღო

**სიონი-ამერი**

**0:0**

16.03. ბოლნისი. თ. სტეფანია
300 მაყურებელი

სიონი: ბობლიაშვილი - ქურასბედიანი, სვანიძე (46. კეტაშვილი), გ. ოქროპირიძე, შავგულიძე - გ. ნუგ. ჭელიძე, სანიკიძე, ბაჯელიძე (83. ზ. ჭელიძე), ბ. ნოზაძე, ზ. ავალიანი (46. შ. ჯიქია) - ჩასემი

*სათადარიგოები:* გ. იაშვილი, ნაყოფია, ვაშაკიძე, კვიტაიშვილი

ამერი: ნადირაშვილი - კაკაშვილი (76. ა. ალავიძე), დავითნიძე, ჩიკვილაძე, ელბაქიძე - შალამბერიძე (62. მემარნიშვილი), დიდავა, დობროვოლსკი, დეკანოსიძე - დავითაშვილი, რ. გოცირიძე

*სათადარიგოები:* ქვაჩახია, მესხი, მჭედლიშვილი, სილაგავა, ჩიმაკაძე

გაფრთხილება: დიდავა (22)

არბიტრი: ო. ხეცაძე

11. დეკანოსიძის მიერ დარტყმული ბურთი ბობლიაშვილმა ხელებში დააფიქსირა.

19. ავალიანის გამჭოლ გადაცემას ნოზაძე გამოეხმაურა, რომელმაც არაზუსტად დაარტყა.

21. დიდავამ შორი მანძილიდან ჯარიმა არაზუსტად დაარტყა.

30. დავითაშვილმა მასპინძელთა კარს ბურთი ზემოდან გადააცილა.

40. დეკანოსიძის ჯარიმა არაზუსტი იყო.

45. დავითნიძემ კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს სწორი მიმართულება ვერ მისცა.

49. გოცირიძის არცთუ ძლიერ თავურს ბობლიაშვილი იოლად დაეუფლა.

57. ოქროპირიძეს ზეალმართულ ხელზე ბურთი მოხვდა - არბიტრის სასტვენი დუმდა.

59. ნოზაძემ ჯიქია ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანა, ამ უკანასკნელმა ახლო მანძილიდან ააცილა.

73. გიორგი ჭელიძემ მახვილი კუთხიდან, მაგრამ ძალიან სახიფათოდ დაარტყა - "სიონი" მეკარემ გადაარჩინა.

88. დავითაშვილმა არაზუსტად დაარტყა.

90. მიზანში ვერც დიდავამ მოახვედრა.

**ო**რივე გუნდის მიერ შექმნილი დაახლოებით თანაბარი რაოდენობის საგოლე შანსებიდან და თამაშის შინაარსიდან გამომდინარე, ფრე ამ მატჩის ყველაზე ლოგიკური შედეგი იქნებოდა. "სიონმაც" და "ამერმაც" საშუალო დონეზე ითამაშეს, ბურთის ფლობის მაჩვენებელიც ფაქტობრივად, თანაბარი ჰქონდათ და მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ, უკმაყოფილება დიდად არც მასპინძლებს ეტყობოდათ და არც სტუმრებს...

თუმცა ბუნებრივია, სავსებით შესაძლებელი იყო, ბოლნისში სხვაგვარი ანგარიშიც დაფიქსირებულიყო. გაფუჭებულ მომენტებს თავი რომ დავანებოთ, მეორე ტაიმში მსაჯს ალბათ, მართებდა "სიონის" კარში პენალტის დანიშვნა - **ოქროპირიძეს** ბურთი ხელზე მოხვდა, თანაც ბოლნისელთა მცველს ხელი მაღლა ჰქონდა აღმართული. ამის საპასუხოდ, ისიც უნდა ითქვას, რომ ერთ ეპიზოდში, მასპინძელთა სახიფათო შეტევისას, ლაინსმენმა მეტად საეჭვო თამაშგარე დააფიქსირა.

თამაშს სანახაობრივი ნამდვილად არ ეთქმოდა. საერთო სურათი ძალიან გააფუჭა ქარმა, რომელიც მეტოქეებს ერთნაირად უშლიდა ხელს. ფეხბურთელებს ბურთის დამუშავება და სწრაფი იერიშების განხორციელება უჭირდათ.

საკადრო პრობლემები **ყიფშიძესაც** ჰქონდა და **ჩიხრაძესაც**. დისკვალიფიკაციების გამო, "სიონმა" ორი წამყვანი მცველი, **ბოიომო** და "ამერიდან" მიბრუნებული **კობაური** მოისაკლისა. ასევე დისციპლინარული სასჯელის გამო კი გლდანელებს წამყვანი ფორვარდი **ტატანაშვილი** არ ჰყავდათ. "სიონის" შემადგენლობაში დებიუტი ჰქონდა **გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძეს**, რომელმაც როგორც იქნა, მოახერხა "ზესტაფონიდან" წამოსვლა. ჭელიძე ოპტიმალური ფორმისგან შორსაა, მაგრამ წესით, მუდმივმა სათამაშო პრაქტიკამ მალე ძველი კონდიციები უნდა დააბრუნებინოს.

ბოლნისური კლუბი მეორე ტაიმისთვის საკმაოდ არასასიამოვნო ვითარებაში აღმოჩნდა. პირველი ნახევრის მიწურულს **გოცირიძესთან** ორთაბრძოლაში "სიონის" კაპიტანმა **დავით სვანიძემ** ყბა-სახე დაიზიანა და თამაშის გაგრძელება ვერ შეძლო. სხვა გამოსავალი არ იყო და მეორე 45 წუთი ცენტრალური მცველის საკვანძო პოზიციაზე **ლევან შავგულიძემ** ითამაშა, რომელმაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ თითქმის ყველა ამპლუაში შეუძლია შესაძლებლობების წარმოჩენა.

**ლევან ჯანეზაშვილი**
ბოლნისი-თბილისი

# ცქიტიშვილი მალე ლოკოში ითამაშებს?

**ლევან ცქიტიშვილის** თბილისის "ლოკომოტივში" თამაშზე დაახლოებით 2 კვირის წინათ დაიწყო საუბარი. ეს თემა დღესაც აქტუალურია. ფეხბურთელი "ლოკომოტივში" ვარჯიშს უკვე შეუდგა.

"ცქიტიშვილმა ივარჯიშა ჩვენს გუნდში. მისი სატრანსფერო ფურცელი უკვე ჩამოვიდა. ლევანთან მოლაპარაკებებს ვაგრძელებთ და იმედი მაქვს მალე ითამაშებს კიდეც ჩვენთან. მით უმეტეს, ლევანის თამაში ეროვნულ ნაკრებსაც წაადგება", - აღნიშნა გუნდის მწვრთნელმა გიორგი კიკნაძემ.




**დავით ცაბაძე**

GEO FM 95.1
ავტორადიო თბილისი

# მარტის ამინდივით ჭრელი

**ბორჯომი-ბათუმი**

**1:2**

15.03. ბორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილი
400 მაყურებელი

1:0 თედიაშვილი (22), 1:1 გ. ჩხეტიანი (66), 1:2 გ. ჩხეტიანი (67)

ბორჯომი: სეფიაშვილი - გოგიჩაიშვილი, ლომიძე, ქარქუზაშვილი, კაკუბავა - თედიაშვილი, ქავთარაძე (55. გაჩეჩილაძე), გრიგალაშვილი, ჯიუსი (61. ნასყიდაშვილი) - მეგრელაძე, ბოლქვაძე (46. ბაქრაძე)

*სათადარიგოები: დევიძე, კირთაძე, ხითარიშვილი*

ბათუმი: სტურუა - კუნჭულია, კ. მახარაძე, თედორაძე, მაკარიანი - თურმანიძე, ცანავა, ბეჟანიძე (27. ოქრუაშვილი), ქებაძე (73. ფარტენაძე) - ქუთათელაძე (46. გალოგრე), გ. ჩხეტიანი

სათადარიგოები: გ. მახარაძე, თოთლაძე

გაფრთხილება: ქარქუზაშვილი (37)

არბიტრი: ლ. ფანიაშვილი

4. ჯიუსის ფლანგური პასის მერე მეგრელაძე ურტყამს ხელსაყრელი პოზიციიდან, თუმცა ოდნავ არაზუსტად.

21. ისევ მეგრელაძემ იაქტიურა და რომ არა სტურუა, ანგარიში გაიხსნებოდა.

22. 1:0 - კუთხურის ჩაწოდებისას ბათუმელთა საჯარიმოში არეულობა შეიქმნა, რითაც თედიაშვილმა ისარგებლა და ძლიერი დარტყმით ანგარიში გახსნა.

32. მეკარის შეცდომის მერე გაგა ჩხეტიანს მიეცა გატანის შანსი, თუმცა ააცილა მიზანს.

36. ქებაძემ პირისპირ გაიყვანა გაგა ჩხეტიანი, მაგრამ ამ უკანასკნელმა ისევ ააცილა.

45. თედიაშვილის დარტყმული აცდა ოდნავ კარს.

60. ჩხეტიანი ისევ გადის პირისპირ, ამჯერად ბურთს უკვე მეკარე ეუფლება.

64. მახარაძე შევიდა საჯარიმოში, ჩამოიცილა მცველი კარგად, მაგრამ ველარ დაარტყა.

66. 1:1 - მეკარესთან პირისპირ გასულმა ჩხეტიანმა ამჯერად გამოიყენა შანსი.

67. 2:1 - ისევ მან ითამაშა კარგად, გავიდა პირისპირ და მარჯვენა კუთხეში გამარჯვებისა გაიტანა.

75. მეკარესთან პირისპირ გასულ ფარტენაძეს დააკლდა სიზუსტე

ძველთაგან ნათქვამია, მარტის ამინდი ცვალებადი და ჭრელიაო... ბორჯომში თამაშზე ჩასული ამ ნათქვამის სისწორეში სრულად დავრწმუნდი, ისეთი სიცივე დამხვდა, ძვალ-რბილში ატანდა. თუმცა ბუნებამ ესეც არ იკმარა და მატჩის დაწყებას თოვაც მოაყოლა. არეულ-დარეულ ამინდს, მატჩიც ასეთივე მოყვა.

ბოლო ადგილზე მყოფ "ბათუმს", ჰაერივით სჭირდებოდა გამარჯვება, მასპინძლებს ასეთი მოთხოვნილება კი ნამდვილად არ ჰქონდათ. მიუხედავად ამისა, პირველი რეალური მომენტი "ბორჯომმა" შექმნა, უკვე მეოთხე წუთზე **ჯიუსის** პასით **მეგრელაძეს** შეეძლო გატანა, მაგრამ ოდნავ არაზუსტად დაარტყა. ამას სტუმართა აქტიური ფლანგური იერიშები მოყვა, თუმცა მასპინძელთა დაცვამ ყველა შემოტევა გააუვნებელყო. ამის მერე იყო ბორჯომელთა არაერთი იერიში, რომელთაგან ერთი გოლით დასრულდა. სხვა შემთხვევაშიც იგივე განმეორდებოდა, **სტურუა** რომ არა.

სტუმრებს ისღა დარჩენოდათ გააქტიურებულიყვნენ და მასპინძლთა "წყალობით" ეს მშვენივრადაც გააკეთეს. ეგ იყო მხოლოდ, რომ **გაგა ჩხეტიანს** არ უმართლებდა, მაგრამ ბორჯომელებმა იმდენი "ქნეს", მატჩის ბოლოს ორჯერ მაინც გაატანინეს ერთი და იმავე პოზიციიდან. მერე კი, რომ იტყვიან ზრდილობის გულისთვის, ცოტა გააქტიურდნენ, თუმცა რეალურ გააქტიურებასთან ამას არანაირი კავშირი არ ჰქონდა.

**მერაბ გრძელიძე**
ბორჯომიდან


დელგადო აგრძელებს ქართველ ფეხბურთელთა მომზადებას

არგენტინაში

დიდი ტრამპლინი საქართველოს ნაკრები გუნდებისა და ევროპის კლუბებისკენ

არგენტინაში ახლად შექმნილ ქართულ საფეხბურთო გუნდ "GE-H-ARG"-ში ედუარდო დელგადოსთან სტაჟირებაზე ვიწვევთ 17-18 წლის ასაკის ფეხბურთელებს არგენტინაში გასამგზავრებლად, 6 თვიდან 1 წლამდე ვადით. "GE-H-ARG"-ის მთავარი მწვრთნელია, ედუარდო დელგადო. სტაჟირების პერიოდში ფეხბურთელებს გამოცდიან არგენტინულ საფეხბურთო გუნდებში და შესაბამის დონეზე მომზადებული ფეხბურთელები ჩაირიცხებიან არგენტინულ კლუბებში, რომლებიც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს. არგენტინის კლუბებს გარდა, პარალელურად, ქართული საფეხბურთო გუნდი "GE-H-ARG"-ი კვირაში ერთხელ მართავს ამხანაგურ თამაშებს არგენტინის საფეხბურთო კლუბებთან, რაც ხელს შეუწყობს მათი საფეხბურთო დონის ამაღლებას. 2009 წლის მაისში, საფეხბურთო გუნდი "GE-H-ARG"-ი ქართველი ქომაგების წინაშე წარდგება თბილისში, ბორის პაიჭაძის სახელობის სდაიონზე და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ამხანაგურ თამაშებს გამართავს ქართულ გუნდებთან.

მომზადების პროცესი ფასიანია. ასევე, ავიაბილეთების, ადგილზე ბინის, კვების, არგენტინის ვიზისა და შიდა ტრანსპორტით გადაადგილების ხარჯებს ანაზღაურებს მსურველი ან მისი სპონსორები.

დაწვრილებითი ცნობებისა და საბუთების გასაფორმებლად მსურველები უნდა გამოცხადდნენ არგენტინის წარმომადგენელთან შემდეგ მისამართზე: თბილისი, ლეონიძის 4. (ყოფილი კიროვის ქუჩა, თავისუფლების მოედანთან).

მსურველთა მიღება იწარმოებს მიმდინარე წლის 11 მარტიდან 24 მარტამდე, ყოველდღე (კვირის გარდა), 13-დან-15 საათამდე, ფეხბურთელები არგენტინაში გაემგზავრებიან 2008 წლის 29 მარტს.

საკონტაქტო ტელეფონი: 899 23-55-20


# ეს ხომ ნანახი გვაქვს!

**დილა-მესხეთი**

**0:1**

16.03. გორი. თ. ბურჯანაძე
200 მაყურებელი

0:1 ბერიანიძე (6. საკ. კარში)

დილა: ცერცვაძე - ბალაშვილი, ბერიანიძე, გვეტაძე (80. წინამძღვრიშვილი), ტლაშაძე - ლაცაბიძე, სადალაშვლი, ნოზაძე (35. რეხვიაშვილი), სულთანიშვილი (70. ვარდოსანიძე), შატაკიშვილი - მიქაძე.

*სათადარიგოები: კეჩხუაშვილი, ბალიაშვილი, საყვარელიძე, ლომიძე*

მესხეთი: სომხიშვილი - ნადირაშვილი, ქობესაშვილი, მერებაშვილი, ლეკიშვილი - კ. ხანიშვილი, მ. თაყაძე, გვირჯიშვილი, ინასარიძე (90. სუდაძე), კოშკაძე - კიკნაძე (84. სამადაშვილი)

*სათადარიგოები: ძამუნაშვილი, თელიაშვილი, ი. თაყაძე, მუშკუდიანი*

გაფრთხილება: კ. ხანიშვილი (17), ტლაშაძე (27), კიკნაძე (62), კოშკაძე (65)

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

6. 0:1 - მიშა თაყაძე გარღვევას მარჯვენა ფლანგიდან კარის გასწვრივ ჩაწოდებით ასრულებს, მასპინძელთა მცველმა ჯაბა ბერიანიძემ ბურთის მოგერიება სცადა, მაგრამ ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა.

12. კუთხურიდან მოწოდებული ბურთისთვის ზუსტად რომ დაეხვედრებინა თავი ირაკლი გვეტაძეს შეეძლო გაეტანა

15. მიქაძემ საჯარიმოსთან ნიკა სადალაშვილი მოძებნა, რომელმაც თავის მხრივ კართან მიახლოებაც მოახერხა, თუმცა დარტყმული ძელს გაარტყა.

28. ბერიანიძემ ახლოდან დარტყმულით ამაოდ სცადა საკუთარი შეცდომის გამოსწორება

30. თაყაძის მორიგი ჩაწოდებისას დავით ინასარიძე დაუსხლტა მცველებს და სამიოდ მეტრიდან ცოტა ზუსტად რომ დაერტყა, გაიტანდა.

35. საჯარიმოში შესულმა ნოდარ ნოზაძემ დარტყმის დაგვიანებით მეტად საჯირო მომენტი გაატანა ქარს.

47. მარჯვენა ფლანგიდან მესხთა საჯარიმოში შემოსული ლაშა რეხვიაშვილის პასს კართან ჩასაფრებულმა მიქაძემ დაუხვედრა თავი, მაგრამ საპირისპირო ძელთან გაგზავნილი ბურთი მილიმეტრებით აცდა კარს.

74. მიქაძე კარის სიხლოვეს ილებს ბურთს, ყოვნდება, რათა დაამუშაოს იგი და ამასობაში ველარ ახერხებს დარტყმას.

ზედმეტია საუბარი იმაზე, თუ რაოდენ პრინციპული იყო ეს მატჩი გორელებისათვის. ამ თამაშით ფაქტობრივად „დილის" უმაღლეს ლიგაში ყოფნა-არყოფნის საქმე წყდებოდა.

ასეთი რამ გასულ წლებშიც მომხდარა. მოკლედ მატჩისწინა ვითარება კარგად გადალეჭილი ძველი ამბავი გახლდათ. მიუხედავად მეორე წრეშიც არცთუ სახარბიელო შედეგებისა სტადიონზე მაყურებელი „დილის" მოგების სანახავად მოვიდა. მათ ამას აფიქრებინებდა საკუთარი საგულშემატკივრო გუნდის მიერ სატურნირო ცხრილში უკანდასახევი გზის არქონა და მეტოქედ მათივე აზრით არცთუ ძნელად დასამარცხებელი ახალციხის „მესხეთი". თუმცა დიდი ხანია გორში თითქმის ალარაფერი ხდება ისე, როგორც გორელებს უნდათ.

ბარაქალა „მესხეთს"! ფეხბურთის ქართველმა ქომაგმა შესანიშნავად უწყის რაოდენ ძნელი შესაკავებელია გასავარდნად განწირული, თუნდაც დაძაბუნებული „დილა" საკუთარ არენაზე, გორში.

**კობა თედიაშვილის** შეგირდებმა კი არათუ შეაკავეს, სულაც სამი ქულა წაართვეს მასპინძლებს. ცხადია დებიუტში გაშვებულმა გოლმა მნიშვნელოვნად იმოქმედა შედეგზე, მაგრამ ამ შედეგზე ყველაზე ნათლად დამაგვირგვინებელ ფაზაში გორელთა საოცარი უსუსურობა უფრო მოქმედებდა. ამ უსუსურობის ფონზე კი ძნელია თუნდაც იმ შესამჩნევ უილბლობაზე ილაპარაკო, რაც თან სდევდა „დილის" კომბინაციების დამაგვირგვინებელ ფაზას.

შეხვედრის დასაწყისშივე მოულოდნელად და კურიოზულად გაშვებულმა გოლმა რამდენიმე წუთით კი ოდნავ დააბნია მასპინძლები, მაგრამ მალევე მოეგნენ ისინი გონს და შეუტიეს. მთელი დარჩენილი შეხვედრა ასე უტევდნენ და სტენოგრამიდანაც კარგად ჩანს რამდენი საგოლე მომენტი შექმნეს მასპინძლებმა, მაგრამ მათდა სამწუხაროდ ყველაფერი ქარმა წაიღო. ახალციხელებს არც უბრძოლიათ ტერიტორიული უპირატესობის მოსაპოვებლად, თედიაშვილმა გოლიდან 84 წუთი ისე წარამართინა შეგირდებს თამაში, როგორც საჭირო იყო. ახალციხელებს არც მათი გამორჩეული ფლანგები უმუშავებდათ სრული დატვირთვით, უფრო სწორად მხოლოდ მარჯვენაფლანგელი **მიშა თაყაძის** გარჯაა ამ თვალსაზრისით გამოსარჩევი. ხოლო ზოგადად „მესხეთიდან" ალბათ, ისევ და ისევ მათი გოლკიპერი **გიორგი სომხიშვილია** აღნიშვნის ღირსი.

ამ მოგებამ მესხები სატურნირო ცხრილის შუაში გაამაგრა ხოლო „დილა" აღნიშნული წაგებით სეზონში ჯერ არნახულ მეთოთხმეტე ადგილზეა.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

# ქარსაც მიდგომა უნდა

**სპარტაკი-მგლები**

**0:0**

15.03. გორი. ქართლი
50 მაყურებელი

სპარტაკი: ქვილითაია - დათუნაშვილი (46. კვარაცხელია), ხაჭაპერაძე (46. ტყეშელაშვილი), ქემოკლიძე, მამუკაშვილი - თარხნიშვილი, ხიდაშელი (81. კუპრეიშვილი), ძარია, ბახტურიძე, გოგოხია - ლონლაძე

*სათადარიგოები: კოდალაევი, ქორიძე, თექთურმანიძე, ხიზანიშვილი*

მგლები: ივარდავა - ზ. ექონია, ჟვანია, მაჭავარიანი, კაკაბაძე - ჭკადუა, ვართაგავა, ხოხონიშვილი, წურწუმია (80. ჯანაშია) - კრასოვსკი, კუტალია (16. ქომეთიანი)

*სათადარიგოები: ჭითანავა, გ. ექონია, ხუხია, ჯიშკარიანი, კუჭუხიძე*

გაფრთხილება: თარხნიშვილი (21), ხოხონიშვილი (36), ზ. ექონია (42), ვართაგავა (79)

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

**11.** კუტალიამ დაახლოებით 30 მეტრიდან ძლიერად დაარტყა, ბურთს მცირედით ქარმაც შეუცვალა მიმართულება და რომ არა მეკარის თავგანწირული ნახტომი, პირდაპირ ცხრიანში გაეხვეოდა.

**27.** ნუკრი გოგოხია მარცხენა ფლანგიდან კარის პირდაპირ აწვდის ლონლაძეს, რომელიც ბურთს შეუჩერებლივ ძლიერად გზავნის კარისკენ, მაგრამ არა კარში.

**42.** სტუმართა საჯარიმოს მისადგომებთან დანიშნული სტანდარტული გოგოხიამ ოდნავ არაზუსტად დაარტყა.

**55.** ცხინვალელებმა ვერ ისარგებლეს მათი მორიგი იერიშისას ივარდავას კართან შექმნილი არეულობით.

**73** "მგლების" სწრაფი კონტრიერიშისას მამუკა ჭკადუამ ლევან წურწუმიას შეუქმნა სახეირო მომენტი, რომლის დარტყმაც ზუსტი კი გამოდგა, მაგრამ ქვილითაიას რეაქციაც დროული იყო.

„ქართლზე" გაცილებით წყნარი ამინდის დროსაც ხშირად ქრის ქარი და ამ დღეს მთელ საქართველოში რომ გრიგალი იყო, აქაურობა რას გამოაკლდებოდა. ჩვენს ქვეყანაში ხომ ფეხბურთს იდეალურ საფეხბურთო პირობებშიც ველარ თამაშობენ სახარბიელოდ და აბა მით უფრო გრიგალში რაღა სანახაობა უნდა მოგვეთხოვა მინდორზე მყოფთაგან? ამიტომაც მეტეოროლოგიური პირობებიდან გამომდინარე ამ დღეს ბუნებრივია არ გვინახავს დახვეწილი ფეხბურთი, თუმცა ვნახეთ უშელავათო ბრძოლა. საერთოდ კი, გააზრებული თამაშის მეოხებით, ვფიქრობთ, ორივე გუნდის მობურთალთ ჰქონდათ საშუალება მთელი მატჩის განმავლობაში მქროლავი ძლიერი ქარი თავისთვის გაცილებით ეფექტურადაც გამოეყენებინათ. მაყურებლი არც ქარის დახმარებით შესრულებულ „ხმელ ფოთოლს" ელოდა მათგან, მაგრამ ცოტა არ იყოს უცნაურია, როდესაც ფეხბურთელები არცთუ იშვიათად მაინც და მაინც ქარის საპირისპირო მიმართულებით შორეული პასების გაგზავნას ცდილობდნენ, რაც ბუნებრივია არ გამოსდიოდათ და წამოწყებული კომბინაცია იოლად იშლებოდა.

შეხვედრის დებიუტში „სპარტაკი" იერიშებით საპირისპირო კარისკენ მეტოქესთან შედარებით მძიმედ დაიძრა. დროის ამ მონაკვეთში სტუმრები უფრო ხშირად ფლობდნენ ბურთს, მაგრამ სახიფათო მომენტებში ეს უპირატესობა თითქმის არ გამოიხატა, თუ არ ჩავთვლით **დავით კუტალიას** შორეულ გასროლილს. ამ დროს ანგარიში რომ გახსნილიყო ზუგდიდელ შემტევთან ერთად გარკვეულწილად ქარის დამსახურებაც იქნებოდა. სხვათაშორის სწორედ ამ გზით უნდოდა **თორნიკე თარხნიშვილს** მეტოქის კარში ჩაეხვია, მაგრამ აქ უკვე **ივარდავამ** იმარჯვა. არაერთხელ იმარჯვა ამ მატჩში საპირისპირო კარის გოლკიპერმა **მაქსიმე ქვილითაიამაც**, რომელიც ბოლოს სათასო მატჩში მისი შემცვლელი კოდალაევის მიერ დაშვებული საგოლე შეცდომის გამო **კობა ჟორჟიკაშვილმა** ისევ დააბრუნა სასტარტოში და ალბათ, არც უნანია.

„სპარტაკმა" პირველი ტაიმის საწყისი 20 წუთის მანძილზე „მგლების" მიერ მოპოვებული უპირატესობა ნელ-ნელა გაანეიტრალა და შესვენებამდე სამი რეალური საგოლე მომეტიც შექმნა, თუმცა უშედეგოდ. თავის მხრივ საგოლე მუქარა მასპინძლების მისამართით თითქმის ალარ განუხორციელებია „მგლებს", კუტალია ტრავმის გამო მალევე შეცვალეს, **კრასოვსკის** კი მასპინძელი მცველები ყურადღებით მეურვეობდნენ.

მეორე ტაიმი ქართან ერთად უკვე „სპარტაკის" კარნახითაც წარიმართა. ჟორჟიკაშვილმა ორი მცველის ნაცვლად ნახევარმცველი და თავდამსხმელი ჩართო თამაშში, მოახდინა ტაქტიკური გადანაცვლებები და 3-5-2-ზე გადაწყობით შეატევინა შეგირდებს. ვერ ვიტყვით, რომ მასპინძლებმა მცდელობა და ენერგია დააკლეს მეტად საჭირო გამარჯვების მოპოვებისათვის ბრძოლას. ერთხანს ცხინვალელებმა სტუმრები მიაჯაჭვეს კიდეც საკუთარ საჯარიმოს. გატანა სცადეს შორეული დარტყმებით (თარხნიშვილი, ძარია), ფლანგებიდან (ხიდაშელი, გოგოხია), აქტიურობდა თავდასხმის ხაზი (ლონლაძე, კვარცხელია), მაგრამ ყველა მცდელობამ უშედეგოდ ჩაიარა.

ორივე გუნდის ფეხბურთელები ნულოვან ფრეს, პირველ ყოვლისა, ალბათ, ქარს დააბრალებდნენ, თუმცა სათანადო მიდგომით ქარისგან ხეირის მიღებაც ხელეწიფება ადამიანს.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

# ხვალ ალმასკომია

ხვალ, 18 მარტს, ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის მორიგი სხდომა გაიმართება. ფედერაციაში თავყრილობა 14 საათზე დაიწყება. დღის წესრიგში იქნება სანაკრებო თემა და ე. წ. გარიგებული მატჩები. ეროვნული ჩემპიონატი დასკვნით ფაზაში შედის და ქართული ფეხბურთის თავკაცები გარიგებულ მატჩებს ბრძოლას უცხადებენ.

ხვალვე საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის "ყაზბეგის" თასის გათამაშების ნახევარფინალების წილისყრა 14 საათზე იყო დაგეგმილი, თუმცა როგორც შევიტყვეთ, პროცედურა პროფესიული ფეხბურთის ლიგის ოფისში ერთი საათით ადრე, 13 საათზე გაიმართება.

**დავით ცაბაძე**

# უხვგოლიანი კვირა

ეროვნული ბიბლიოთეკა



გოგიტა გოგუა (მარცხნივ) რუსეთის ჩემპიონატი გოლით გახსნა

| ფეხბურთელი | მატჩი | ანგ. | შენიშვნა | სტატ. |
|---|---|---|---|---|
| **გერმანია** | | | | |
| ბუნდესლიგა. XXIV ტური | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე-დუისბურგი | 2:1 | ტრავმა | 10 თ. 1 გ. |
| ალექსანდრე იაშვილი | კარლსრუე-აინტრახტი | 0:1 | 90 წუთი | 20 თ. 1 გ. |
| მეორე ბუნდესლიგა. XXIII ტური | | | | |
| ილია კანდელაკი | ოფენბახი-კარლ ცაისი | 2:1 | სათადარიგო | 10 თ.0 გ. |
| გიორგი ონიანი | ოფენბახი-კარლ ცაისი | 2:1 | არ უთამაშია | 9 თ. 0 გ. |
| გიორგი სეთურიძე | ოფენბახი-კარლ ცაისი | 2:1 | არ უთამაშია | 0 თ. 0 გ. |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი-კიოლნი | - | დღეს | 2 თ. 0 გ. |
| მათე ღვინიანიძე | მიუნხენი-მაინცი | 1:1 | ტრავმა | 13 თ. 0 გ. |
| **ინგლისი** | | | | |
| პრემიერლიგა. XXX ტური | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ვესტ ჰემი-ბლექბერნი | 2:1 | 45 წთ. (შეცვლაზე) | 10 თ. 0 გ. |
| **ესპანეთი** | | | | |
| პრიმერა დივიზიონი. XXVIII ტური | | | | |
| შოთა არველაძე | ატლეტიკო-ლევანტე | 3:0 | არ უთამაშია | 0 თ. 0 გ. |
| **იტალია** | | | | |
| სერია A. XXVIII ტური | | | | |
| კახა კალაძე | რომა-მილანი | 2:1 | 90 წუთი | 19 თ. 0 გ. |
| **შვეიცარია** | | | | |
| სუპერლიგა. XXV ტური | | | | |
| სანდრო იაშვილი | ქსამაქსი-თუნი | 0:2 | სათადარიგო | 20 თ. 1 გ. |
| **ავსტრია** | | | | |
| ბუნდესლიგა. XXIX ტური | | | | |
| გიორგი შაშიაშვილი | შტურმი-რიდი | 2:0 | 90 წუთი | 27 თ. 0 გ. |
| ერსტე ლიგა. XXIX ტური | | | | |
| მირზა ბჟალავა | კარნტენი-ავსტრია | 2:1 | არ უთამაშია | 4 თ. 0 გ. |
| **ჩეხეთი** | | | | |
| გამბრინუს ლიგა. XXI ტური | | | | |
| გიორგი განუგრავა | მლადა-სპარტა | - | დღეს | 0 თ. 0 გ. |
| **რუსეთი** | | | | |
| პრემიერ ლიგა. I ტური | | | | |
| გოგიტა გოგუა | სპარტაკი ნ.-სატურნი | 2:1 | 90 წუთი, 1 გოლი | 1 თ. 1 გ. |
| დავით სირაძე | სპარტაკი ნ.-სატურნი | 2:1 | 59 წთ. (შეცვალეს) | 1 თ. 0 გ. |
| ალექსანდრე ამისულაშვილი | სპარტაკი ნ.-სატურნი | 2:1 | 90 წუთი, ავტოგოლი | 1 თ. 0 გ. |
| ლევან გვაზავა | ლუჩი-მოსკვა | 1:1 | 90 წუთი, 1 გოლი | 1 თ. 1 გ. |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი-რუბინი | 0:1 | ტრავმა | 0 თ. 0 გ. |
| დავით მუჯირი | ლოკომოტივი-რუბინი | 0:1 | 16 წთ. (შეცვლაზე) | 1 თ. 0 გ. |
| ლაშა სალუქვაძე | ლოკომოტივი-რუბინი | 0:1 | არ უთამაშია | 0 თ. 0 გ. |
| დავით კვირკველია | ლოკომოტივი-რუბინი | 0:1 | 90 წუთი | 1 თ. 0 გ. |
| ნუკრი რევიშვილი | ლოკომოტივი-რუბინი | 0:1 | არ უთამაშია | 0 თ. 0 გ. |
| **უკრაინა** | | | | |
| ვიშა ლიგა. XXI ტური | | | | |
| ჯაბა კანკავა | დნეპრო-ზარია | 1:0 | სათადარიგო | 15 თ. 3 გ. |
| ალექსანდრ კობახიძე | დნეპრო-ზარია | 1:0 | სათადარიგო | 0 თ. 0 გ. |
| გიორგი დემეტრაძე | არსენალი-ვორსკლა | 3:2 | 51 წთ. (შეცვ.), 1 გოლი | 18 თ. 3 გ. |
| ლადო ბურდული | დნეპრო-ზარია | 1:0 | არ უთამაშია | 16 თ. 0 გ. |
| კახა ალადაშვილი | ხარკივი-ტავრია | 1:1 | 90 წუთი | 12 თ. 0 გ. |
| ლაშა ჯაკობია | არსენალი-ვორსკლა | 3:2 | ტრავმა | 3 თ. 0 გ. |
| **კვიპროსი** | | | | |
| A დივიზიონი. XXV ტური | | | | |
| ლევან ქებაძე | ეთნიკოსი-ნოქოზია | 2:1 | 90 წთ. (შეცვ.), 1 გ, 1 პ. | 10 გ. |
| ლევან მაღრაძე | არისი-აპოლონი | 3:1 | 90 წუთი | 0 გ. |
| კობა ნიტაიშვილი | ანორთ.ი-ნეა სალამინა | 5:0 | 56 წთ. (შეცვალეს) | 2 გ. |

**გ**ასულ უქმეებზე ქართული ლეგიონიდან გოლები გაიტანეს გოგიტა გოგუამ, ლევან გვაზავამ, გიორგი დემეტრაძემ, ლევან ქებაძემ, დავით ბოლქვაძემ და ჯაბა დვალმა. ჩვენებურის ანგარიშზე ერთი ავტოგოლიც იყო. დაგვეთანხმებით, ბოლოდროინდელთან შედარებით უჩვეულოდ უხვგოლიანი მონაგარია.

### კობი კუნთმა დაალალატა

**ლევან კობიაშვილის** "შალკე" აგრძელებს ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლას, "დუისბურგის" 2:1 დამარცხების შემდეგ "ხუმარებს" 41 ქულა აქვთ და მეხუთე ადგილზე არიან. ეს ადგილი უეფას თასზე ასპარეზობის უფლებას იძლევა. 24-ე ტურის მატჩის განაცხადში მოულოდნელად ვერ ვიხილეთ ლევან კობიაშვილი, რომელსაც კუნთის პრობლემა ჰქონია. სამაგიეროდ, **ალექსანდრე იაშვილის** "კარლსრუე" სულ უფრო შორდება ევროთასების ზონას. "აინტრახტთან" შინ 0:1 დამარცხების მერე "კარლსრუე" 36 ქულით მხოლოდ მერვეა. იაშვილმა 90 წუთი ითამაშა, მას 21-ე წუთზე შესანიშნავი შანსი მიეცა გოლის გატანისა, მეკარე **ოკა ნიკოლოვსაც** თითქოს გაცდა, მაგრამ მახვილი კუთხიდან მხოლოდ კუთხური დაიმსახურა.

მეორე ბუნდესლიგის "კარლ ცაისში" სამი ქართველი ფეხბურთელი კი ირიცხება, მაგრამ ამ უიმედო აუტსაიდერთა რიგებში ჩვენებურებს კარგა ხანია არ უთამაშიათ. "კარლ ცაისი" სტუმრად 1:2 "ოფენბახთან" დამარცხდა. მხოლოდ **ილია კანდელაკი** იყო მატჩის განაცხადში. მეორე ბუნდესლიგის ფსკერზე უიმედოდ დაილექნენ **დავით სირაძის** ყოფილი კლუბი "პადერბორნი" და "კარლ ცაისი" (16-16 ქულით).

„მიუნხენი" „მაინცს" ტრავმირებული **მათე ღვინიანიძის** გარეშე დაუზავდა – 1:1. შეიძლება ითქვას, რომ „ლომებმა" ბუნდესლიგაში გადასვლის რეალური შანსი დაკარგეს.

### აურზაური ხიზანიშვილის გამო

**მარკ ჰიუზი** არ მალავდა თავისიანების თამაშით უკმაყოფილებას მას შემდეგ, რაც მისმა "ბლექბერნმა" სტუმრად 1:2 დათმო "ვესტ ჰემთან". სამწუხაროდ, მატჩის დასრულებამდე ცხრა წუთით ადრე მასპინძელთა ფორვარდმა **დინ ეშტონმა** ბურთი **ზურაბ ხიზანიშვილს** "მოპარა" და თანაგუნდელს გაატანინა. ზურაბმა მეორე ტაიმი ითამაშა მარჯვენა მცველის **ბრეტ ემერტონის** ნაცვლად. ხიზანიშვილთან დაკავშირებულია ერთი სამსაჯო სკანდალიც, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ ცნობილი მსაჯი **მაიკ რაილი** პრემიერლიგის მომსახურებას იმის გამო ჩამოაშორა, რომ მან "ბლექბერნი"-"ფულჰემის" პირველივე წუთზე უკანასკნელი იმედის ჯარიმისთვის ქართველი მცველი არ გააძევა.

იტალიაში **კახა კალაძის** "მილანი" სტუმრად "რომასთან" 1:2 დამარცხდა. ქართველი მცველი სასტარტო შემადგენლობაში იყო. ორივე გოლი "რომამ" "მილანის" დაცვის ცენტრიდან გაიტანა. კალაძემ იტალიური წყაროებისგან 6-ბალიანი შეფასება დაიმსახურა.

### შაშიაშვილი ძირითადს დაუბრუნდა, თუნი უქართველოდ იგებს

**გიორგი შაშიაშვილის** "შტურმა" შინ 2:0 დაამარცხა "რიდი". ქართველის გუნდი 45 ქულით ბუნდესლიგაში მეხუთე ადგილზეა. შაშიაშვილი ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდა და 90 წუთი ითამაშა. ზამთრის შესვენების შემდეგ განახლდა ერსტე ლიგა, სადაც **მირზა ბჟალავას** ლუსტენაუს "აუსტრია" სტუმრად 1:2 დამარცხდა "კარნტენთან". ქართველ ნახევარმცველს არ უთამაშია.

როგორც იქნა, **სანდრო იაშვილის** "თუნმა" იმარჯვა შვეიცარიულ ლიგაში, თუმცა "ქსამაქსის" 2:0 დამარცხების (თანაც სტუმრად) მიუხედავად გუნდმა ბოლო ადგილს თავი ვერ დააღწია. "სენტ გალენი" "თუნს" კიდევ ოთხი ქულით უსწრებს. სამწუხაროდ, იაშვილის წვლილი წარმატებაში ნულოვანია, ის სათადარიგოთა სკამზე იჯდა.

### გოგუამ ყოფილ კლუბს შავი დღე აყარა

ჩვენი ლეგიონი საბოლოოდ შეივსო, სტარტი აიღო რუსეთის პრემიერლიგამ. **ლევან გვაზავას** ჩათვლით რუსულ პრემიერლიგაში ცხრა ჩვენებური თამაშობს. ყველაზე ქართულმა კლუბმა ნალჩიკის "სპარტაკმა" მოულოდნელად 2:1 დაამარცხა ფავორიტის რანგში კავკასიაში ჩამოსული "სატურნი". ამ მატჩის მთავარი მოქმედი გმირებიც და ანტიგმირებიც ქართველები იყვნენ. "სპარტაკის" სასტარტოში სამივე ქართველი იყო, **ალექსანდრე ამისულაშვილი**, "სატურნიდან" დაბრუნებული **გოგიტა გოგუა** და ახალწვეული **დავით სირაძე**. უკვე მესამე წუთზე სტუმართა კუთხურს გოლი მოჰყვა, ბურთი შორეული კუთხისკენ მიდიოდა, მაგრამ ამისულაშვილის ფეხმა მიმართულება შეუცვალა და 0:1. ალეკოს 50-ე წუთზე შეეძლო საკუთარი შეცდომის გამოსწორება, თუმცა მისი დარტყმული სასწაულებრივ მოიგერია "სატურნის" გოლკიპერმა. ამისულაშვილს გოგიტა გოგუა დაეხმარა, რომლის ჩაწოდებული ბურთი, ისე რომ არავის შეხებია, ყოფილი კლუბის კარის ბადეში აფართხალდა. ეს 58-ე წუთზე მოხდა - 1:1. თუმცა ზოგიერთი წყარო გოლს "სპარტაკის" მცველ **ფილატოვს** უთვლის, თითქოს, ბურთს ბოლო ის შეეხო. გოგუას მორიგ ჩაწოდებას 79-ე წუთზე კი გამარჯვების გოლი მოყვა, რომელიც **მაშუკოვმა** გაიტანა. დავით სირაძე 59-ე წუთზე შეცვალეს. მან 21-ე წუთზე სტუმართა რუმინელი მცველის შეცდომით ვერ ისარგებლა, ბურთი ოდნავ ააცილა კარს.

პირველივე ტურში გოლი გაიტანა „ლუჩის" ნახევარმცველმა ლევან გვაზავამ, მეორე ტაიმის მეორე წუთზე, მან მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდებული შეირგო და „მოსკვას" კარში გოლი გაიტანა. ეს შეხვედრა 1:1 დასრულდა, გვაზავამ კი 90 წუთი ითამაშა და მატჩის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზიც მიიღო. ტრავმის გამო პირველი ტურის გამოტოვება მოუწია **მალხაზ ასათიანს**. რას იზამ, ტრავმები ამ ნიჭიერი ქართველი ფეხბურთელის ხშირი პრობლემაა. **დავით მუჯირი** მეორე ტაიმში გამოჩნდა, თუმცა „ლოკომოტივს" „რუბინთან" ვერაფერმა უშველა – 0:1. ყაზანური კლუბის მაისურით პირველად ითამაშა **დავით კვირკველიამ**.

### დემეტრაძემ დავიწყებული გაიხსენა

უკრაინის ჩემპიონატის 21-ე ტური ხარკოვში გაიხსნა, სადაც "ხარკოვი" 1:1 ეთამაშა "ტავრიას". მასპინძელთა ორმა ნომერმა **კახა ალადაშვილმა** 90 წუთი ითამაშა. ახალ გუნდშიც, ისევე როგორც "ზაკარპატიეში" პირველ წრეში, კახა აწვდის კუთხურებს.

7 აგვისტოს შემდეგ პირველად გაიტანა უკრაინის ჩემპიონატში საქართველოს ნაკრების ვეტერანმა ფორვარდმა **გიორგი დემეტრაძემ**. მან „ვორსკლის" კარში 24-ე წუთზე ახლო მანძილიდან გაიტანა. სტუმართა განაცხადშიც



ალექსანდრე იაშვილი

კი არ ყოფილა **ლაშა ჯაკობია**, „ვორსკლის" ოფიციალური საიტის ცნობით მას ტრავმა აქვს.

„დნიპროს" შემადგენლობაში პირველად ვიხილეთ მატჩის განაცხადში ახალწვეული **სანდრო კობახიძე**, თუმცა მას დებიუტი არ მოუწია – „ზარიასთან" მატჩში (1:0) ის და **ჯაბა კანკავა** ბოლომდე სათადარიგოთა სკამზე დარჩნენ. სტუმართა რიგებში **ლადო ბურდული** არ გამოჩენილა.

### ცხადაძემ ბაქი კვლავ დაამარცხა

აზერბაიჯანულ კარიერაში პირველი გამარჯვება იზეიმა ქართველმა მწვრთნელმა **კახი ცხადაძემ**. მისმა „სტანდარდმა" ბაქოურ დერბიში „ბაქის" 1:0 მოუგო. შეგახსენებთ, რომ „ბაქი" ცხადაძეს ევროთასებზეც ჰყავს დამარცხებული, როგორც ბოლნისის „სიონის" მთავარ მწვრთნელს. ოთხ ტურში მესამე გოლი გაიტანა „ამერის" ყოფილმა ნახევარმცველმა **დავით ბოლქვაძემ**, რომელიც ახლა ზაქათალის „სიმურგში" თამაშობს. ამჯერად, ბოლქვაძემ „გენჩლერბერლიის" გაუტანა. მოლდოვაში კვლავ გაიტანა ფორვარდმა **ჯაბა დვალმა**. მოლდოვაში დაბრუნდა **ლადო ახალაიაც**. უფრო დაწვრილებით აზერბაიჯანის, მოლდოვის და ყაზახეთის ჩემპიონატში მონაწილე ქართული ლეგიონის შესახებ ხვალ მოგითხრობთ.

### თემური და მისი რაზმი შეუჩერებელია

რეგულარული სეზონის ბოლოსწინა ტურში **თემურ ქეცბაიას** „ანორთოსისმა" 5:0 გაანადგურა „ნეა სალამინა". **კობა ნიტაიშვილი** მასპინძელთა სასტარტოში იყო, მაგრამ თავი არაფრით გამოუჩენია, ის ქეცბაიამ 56-ე წუთზე შეცვალა. სეზონში მეათე გოლი გაიტანა „ეთნიკოსის" ვეტერანმა ფორვარდმა **ლევან ქებაძემ**, თანაც გადამწყვეტი – ახნასელებმა მისი გოლის წყალობით 2:1 დაამარცხეს „ოლიმპიაკოსი". მე-6 წუთზე მასპინძლებმა ქებაძის საგოლე პასით გაიტანეს, ხოლო 34-ე წუთზე თავი უკვე თავად ლევანმა გამოიჩინა. მეტად მნიშვნელოვან საგარეო მატჩში დამარცხდა **ლევან მაღრაძის** „აპოლონი", ქართველმა მცველმა 90 წუთი ითამაშა. „აპოლონი" მარცხმა ოთხეულს ჩამოაშორა, არადა სწორედ ოთხი გუნდი აგრძელებს აპრილში ჩემპიონობისთვის ბრძოლას.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## უდინეზე-ლაციო 2:2

უდინეზე: ჰანდაროვიჩი-5, ფელიპე-5.5, ლუკოვიჩი-5, დოსენა-6, ფერონეტი-6 (70. მესტო-6), ზაპოტოჩნი-5 (84. ფლორო ფლორესი-შ.გ), ინლერი-6, გ. დ'აგოსტინი-5 (31. ისლა-6.5), პეპე-7, კვალიარელა-5, დი ნატალე-7.

ლაციო: ბალოტა-6, სივილია-6, რადუ-6.5 (78. კოლაროვი-შ.გ), კრიბარი-6.5, ლედესმა-7, მეგნი-6.5 (53. ვინიაროლი-5.5), კ. მანფრედინი-6.5, ბეჰრამი-5, მუდინგაი-6 (62. დაბო-5.5), ბიანკი-5.5, როკი-7.

გოლები: 0:1 როკი (10), 1:1 ფერონეტი (55), 1:2 ლედესმა (80), 2:2 დი ნატალე (85)

გაფრთხილება: 3-1; კუთხური: 8-7; ჯარიმა: 23-10; თამაშგარე: 2-5; კარში დარტყმა: 11-12 (8-8); ბურთის ფლობა: 40%-60%.

მაყურებელი: 13 000

## რომა-მილანი 2:1

რომა: ა. დონი-6.5, სისინიო-6.5, ჟუანი-6, პანუჩი-6.5, ტონეტო-7, პისარო-6 (62. ჟიული-7), დე როსი-8, პეროტა-6.5, ტადეი-6 (72. აკვილანი-5.5), მანსინი-6 (57. ვუჩინიჩი-7.5), ტოტი-6.5.

მილანი: კალაჩი-6, ოდო-6.5, მალდინი-6, კალაძე-5.5, ფავალი-5.5, გატუზო-5.5, პირლო-6.5, ამბროზინი-6.5 (86. ჯილარდინო-შ.გ), ზეედორფი-7 (73. ემერსონი-5.5), კაკა-7 (88. პალოსკი-შ.გ), პატო-6.

გოლები: 0:1 კაკა (56), 1:1 ჟიული (78), 2:1 ვუჩინიჩი (81)

გაფრთხილება: 0-3; კუთხური: 5-4; ჯარიმა: 9-16; თამაშგარე: 4-4; კარში დარტყმა: 14-14 (9-7); ბურთის ფლობა: 50%-50%.

მაყურებელი: 48 447

## ინტერი-პალერმო 2:1

ინტერი: ჟულიო სეზარი-6, მაიკონი-6, ბურდისო-6.5, მატერაცი-6.5, კივუ-6.5, ვიეირა-7 (90. რივასი-შ.გ), კამბიასო-6.5, ხ. ძანეტი-6.5, ხიმენესი-6.5 (62. ფიგუ-6.5), კრუსი-5.5, იბრაჰიმოვიჩი-5.5 (79. კრესპო-შ.გ).

პალერმო: ა. ფონტანა-6, რინაუდო-5, კასანი-6 (80. კავანი-5), ბიავა-5.5, ძაკარდო-6, გუანა-5 (46. ჯოვ. ტედესკო-6.5), მილიაჩო-5.5, სიმპლისიუ-5.5, ბალცარეტი-5.5, მიკოლი-5.5 (46. იანკოვიჩი-6), ამაური-5.

გოლები: 1:0 ვიეირა (5), 1:1 მატერაცი (25-საკ. კარში), 2:1 ხიმენესი (36)

გაფრთხილება: 2-2; კუთხური: 3-2; ჯარიმა: 23-14; თამაშგარე: 3-2; კარში დარტყმა: 14-10 (10-8); ბურთის ფლობა: 52%-48%.

მაყურებელი: 60 000

## ფიორენტინა-ჯენოა 3:1

ფიორენტინა: ფრეი-7.5, უიფალუში-6, კროლდრუპი-5.5, გობი-5.5, კუჟმანოვიჩი-6, ლივერანი-6.5, გამბერინი-6 (24. იორგენსენი-5.5), მონტოლივო-6, სანტანა-6.5 (32. პაპა ვაიგო-5.5), პაცინი-6.5, მუტუ-7.5 (73. დონადელი-შ.გ).

ჯენოა: სკარპი-6, კონკო-5.5, ა. ლუკარელი-5.5, კრიშიტო-6, მ. როსი-6.5, დანილო-6.5, იურიჩი-6.5 (73. სანტოს გლეისონი-შ.გ), ფაბიანო-5 (55. ვანდენ ბორე-6), ლეონი-6.5, სკული-6 (55. მასიერო-6.5), ბორიელო-6.5.

გოლები: 1:0 სანტანა (19), 2:0 მუტუ (30), 3:0 პაცინი (56), 3:1 მასიერო (82)

გაფრთხილება: 2-4; კუთხური: 4-4; ჯარიმა: 19-19; თამაშგარე: 1-3; კარში დარტყმა: 10-20 (6-8); ბურთის ფლობა: 49%-51%.

მაყურებელი: 28 628

## სამპდორია-კატანია 3:1

სამპდორია: კასტელაცი-6.5, ლუკინი-6, გასტალდელო-5.5, აკარდი-6.5, მაჯო-6, სამარკო-5.5 (81. ციგლერი-შ.გ), პალომბო-7, დ. ფრანჩესკინი-6 (62. ბელუჩი-7.5), პიერი-6, დელვეკიო-6.5, ბონაცოლი-6 (71. ვოლპი-6).

კატანია: ბიცარი-6, სილვესტრი-5, სტოვინი-6.5, სილვესტრე-5.5, ვარგასი-6.5, ბაიოკო-5.5, ედუსეი-6 (72. იცკო-6.5), ჯაკ. ტედესკო-6, პია-5, მასკარა-5, სპინეზი-5.5.

გოლები: 1:0 პალომბო (67), 1:1 სტოვინი (73), 2:1 აკარდი (76), 3:1 ბელუჩი (86)

გაფრთხილება: 3-4; კუთხური: 9-2; ჯარიმა: 30-32; თამაშგარე: 2-0; კარში დარტყმა: 16-7 (5-3); ბურთის ფლობა: 50%-50%.

მაყურებელი: 19 000

## ატალანტა-ემპოლი 4:1

| 1. ანორთოსისი | 25 | 18 | 7 | 0 | 47-13 | 61 |
| 2. აპოელ | 25 | 15 | 5 | 5 | 49-19 | 50 |
| 3. ომონია | 25 | 14 | 5 | 6 | 33-19 | 47 |
| 4. აპოლონი | 25 | 10 | 8 | 7 | 37-30 | 38 |
| 5. აეკ | 25 | 11 | 5 | 9 | 33-32 | 38 |
| 6. აპოპ | 25 | 10 | 7 | 8 | 35-33 | 37 |
| 7. ენოსისი | 25 | 10 | 6 | 9 | 28-29 | 36 |
| 8. ეთნიკოსი | 25 | 11 | 1 | 13 | 34-34 | 34 |
| 9. დოქსა | 25 | 8 | 7 | 10 | 37-40 | 31 |
| 10. აელ | 25 | 7 | 6 | 12 | 28-37 | 27 |
| 11. ალკი | 25 | 7 | 5 | 13 | 31-39 | 26 |
| 12. არისი | 25 | 6 | 6 | 13 | 23-35 | 24 |
| 13. ნეა სალამინა | 25 | 6 | 5 | 14 | 27-53 | 23 |
| 14. ოლიმპიაკოსი | 25 | 3 | 5 | 17 | 24-53 | 14 |

## ჩეხეთი

XXI ტური

| | |
|---|---|
| სიგმა-ბანიკი | 1:0 |
| ვიქტორია-ბუდეიოვიცე | 2:0 |
| იაბლონეცი-ბრნო | 2:0 |
| პლზენი-ლიბერეცი | 0:1 |
| კლადნო-მოსტი | 1:1 |
| ტეპლიცე-ზლინი | 2:1 |
| სლავია-ბოჰემიანსი | 2:1 |
| ბოლესლავი-სპარტა | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სლავია | 21 | 13 | 6 | 2 | 34-14 | 45 |
| 2. სპარტა | 20 | 12 | 4 | 4 | 38-16 | 40 |
| 3. ტეპლიცე | 21 | 11 | 3 | 7 | 27-20 | 36 |
| 4. ბანიკი | 21 | 9 | 8 | 4 | 33-22 | 35 |
| 5. ბრნო | 21 | 10 | 5 | 6 | 30-27 | 35 |
| 6. პლზენი | 21 | 8 | 5 | 8 | 22-26 | 29 |
| 7. ლიბერეცი | 21 | 7 | 7 | 7 | 22-20 | 28 |
| 8. ბოლესლავი | 20 | 6 | 8 | 6 | 23-22 | 26 |
| 9. სიგმა | 21 | 5 | 11 | 5 | 13-16 | 26 |
| 10. ზლინი | 21 | 7 | 5 | 9 | 21-26 | 26 |
| 11. ვიქტორია | 21 | 7 | 5 | 9 | 29-38 | 26 |
| 12. ბუდეიოვიცე | 21 | 6 | 6 | 9 | 22-25 | 24 |
| 13. იაბლონეცი | 21 | 5 | 8 | 8 | 15-19 | 23 |
| 14. კლადნო | 21 | 4 | 6 | 11 | 23-32 | 18 |
| 15. მოსტი | 21 | 3 | 8 | 10 | 23-38 | 17 |
| 16. ბოჰემიანსი | 21 | 3 | 7 | 11 | 15-29 | 16 |

## რუსეთი

I ტური

| | |
|---|---|
| ტერეკი-კრილია | 0:3 |
| ცსკა-შინიკი | 1:1 |
| ხიმკი-ამკარი | 0:3 |
| ნალჩიკი-სატურნი | 2:1 |
| ლუჩი-მოსკოვი | 1:1 |
| ტომი-დინამო | 0:0 |
| ზენიტი-სპარტაკი | 0:0 |
| ლოკომოტივი-რუბინი | 0:1 |

## პოლონეთი

XXI ტური

| | |
|---|---|
| ოდრა-ბელხატოვი | 1:0 |
| პოლონია-კორონა | 0:2 |
| კრაკოვია-გურნიკი | 3:0 |
| იაგელონია-სოსნოვეცი | 2:1 |
| ლკს-გროცლინი | 1:2 |
| რუხი-ვიძევი | 1:1 |
| ლეხი-ვისლა | 1:2 |
| ლეგია-ზაგლები | 3:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვისლა | 21 | 18 | 3 | 0 | 50-11 | 57 |
| 2. გროცლინი | 21 | 14 | 2 | 5 | 39-19 | 44 |
| 3. ლეგია | 21 | 14 | 1 | 6 | 34-11 | 43 |
| 4. ლეხი | 21 | 11 | 5 | 5 | 34-23 | 38 |
| 5. კორონა | 21 | 11 | 3 | 7 | 27-26 | 36 |
| 6. ზაგლები | 21 | 9 | 6 | 6 | 27-22 | 33 |
| 7. გურნიკი | 21 | 8 | 3 | 10 | 27-32 | 27 |
| 8. ბელხატოვი | 21 | 7 | 6 | 8 | 20-24 | 27 |
| 9. იაგელონია | 21 | 7 | 6 | 8 | 20-31 | 27 |
| 10. ოდრა | 21 | 7 | 4 | 10 | 21-28 | 25 |
| 11. რუხი | 21 | 6 | 7 | 8 | 25-29 | 25 |
| 12. კრაკოვია | 21 | 7 | 3 | 11 | 17-22 | 24 |
| 13. ვიძევი | 21 | 3 | 10 | 8 | 20-28 | 19 |
| 14. პოლონია | 21 | 5 | 3 | 13 | 11-34 | 18 |
| 15. ლკს | 21 | 2 | 7 | 12 | 10-19 | 13 |
| 16. სოსნოვეცი | 21 | 3 | 3 | 15 | 16-39 | 12 |

## ეკვადორი

**კლაუსურა**

VII ტური

| | |
|---|---|
| უნ. კატოლიკა-დეპ. აზოგესი | 2:2 |
| ესპოლი-ელ ნასიონალი | 3:2 |
| ბარსელონა-ოლმედო | 3:2 |
| ლიგა დე კიტო-დეპ. კიტო | 1:0 |
| ტექ. უნივერსიტარიო-ემელეკი | 2:1 |
| დ. კუენკა-დ. მაკარა | გვ. დასრულდა |

## პერუ

**აპერტურა**

VII ტური

| | |
|---|---|
| სიენსიანო-სპ. კრისტალი | 4:0 |
| ალიანსა ატლეტიკო-ხ. გალვესი | 3:0 |
| სპორტი-სესარ ვალეხო | 1:0 |
| სპორტ ბოისი-მელგარი | 0:0 |
| ატლეტიკო-ხუან აურიჩი | 1:0 |
| ბოლონ-უნივერსიტარ | გვ. დასრულდა |

## ურუგვაი

**კლაუსურა**

V ტური

| | |
|---|---|
| დანუბიო-რივერ პლეიტი | 1:5 |
| ნასიონალი-მირამარი | 1:2 |
| სერო-ხუვენტუდი | 0:0 |
| ტაკუარემბო-ფენიქსი | 1:1 |
| ლივერპული-უონდერერსი | 1:1 |
| პროგრესო-დეფენსორი | 0:2 |
| პენიაროლი-ბელა ვისტა | 6:0 |
| რამპლა-სენტრალი | 1:0 |

## მექსიკა

**კლაუსურა**

X ტური

| | |
|---|---|
| უაკარუსი-გვადალახარა | 1:2 |
| სან ლუისი-მონტერეი | 3:1 |
| მორელია-ტეკოსი | 0:2 |
| ნეკაქსა-პაჩუკა | 2:2 |
| ტიგრესი-პუებლა | 0:3 |
| ატლასი-პუმასი | 2:2 |
| ტოლუკა-ატლანტე | 2:2 |
| ს. ლაგუნა-ხაგუარესი | გვ. დასრულდა |
| კრუზ ასული-ამერიკა | გვ. დასრულდა |

## არგენტინა

**კლაუსურა**

VI ტური

| | |
|---|---|
| ოლიმპო-როსარიო | 1:3 |
| ესტუდიანტესი-სან მარტინი | 3:2 |
| ბანფილდი-ტიგრე | 3:3 |
| კოლონი-არგ. ხუნიორსი | 0:1 |
| ინდეპენდიენტე-ხიმნასია (ლ-პ) | 3:1 |
| რივერი-რასინგი | 0:0 |
| სან ლორენსო-ველესი | გადაიდო |
| ხიმნასია (ხ)-ლანუსი | გადაიდო |
| ურაკანი-ბოკა | გვ. დასრულდა |
| ნიუელსი-არსენალი | გვ. დასრულდა |

## ჩილე

**აპერტურა**

XI ტური

| | |
|---|---|
| ს. მორნინგი-კოლო კოლო | 1:3 |
| აუდაქსი-უნ. კატოლიკა | 3:1 |
| ლა სერენა-უნ. ესპანიოლა | 2:3 |
| ევერტონი-უაჩიპატო | 0:0 |
| კობრელოა-პალესტინო | 3:2 |
| კობრესალი-მელიპილია | 4:2 |
| დ. კონსეპსიონი-უნ. კონსეპსიონი | 2:0 |
| ანტოფაგასტა-ატ. ნუბლენსე | გადაიდო |
| უნ. ჩილე-ოსორნო | გვ. დასრულდა |
| ო'ჰიგინსი-რეინჯერსი | გვ. დასრულდა |

## კოლუმბია

**აპერტურა**

VIII ტური

| | |
|---|---|
| დეპორ. კალი-დეპორ. (პას) | 1:1 |
| ტოლიმა-ნასიონალი | 1:2 |
| ინდეპენდიენტე-ჩიკო | 0:0 |
| დეპორტესი-ონსე კალდასი | 1:2 |
| დეპორტივო (პერ)-კუკუტა | 0:2 |
| ენვიგადო-ატლეტიკო (უ) | 1:1 |
| ლა ეკიდადი-ამერიკა | 4:0 |
| მილიონარიოსი-ატლ. ხუნიორი | 3:1 |
| ბუკარამანგა-სანტა ფე | გვ. დასრულდა |

## შოტლანდია

**ლიგის თასი. ფინალი**

| | |
|---|---|
| დანდი იუნ-რეინჯერსი | 2:2 პენ. 2:3 |

ინგლისის ნაკრები

# ბალდინიმ ბექჰემი ნახა

## კაპიტანი ტერი ან ფერდინანდი იქნებაო...

შაბათს, "ლოს ანჯელეს გალაქსი" "დალასს" შეხვდა. ამხანაგური მატჩი უგოლოდ დასრულდა. **დევიდ ბექჰემმა** 90 წუთი ითამაშა. მას კარში ერთხელაც არ დაურტყამს, სამაგიეროდ, 87-ე წუთზე ყვითელი ბარათი მიიღო. მატჩს **ფაბიო კაპელოს** მარჯვენა ხელი, **ფრანკო ბალდინი** დაესწრო. ის ლონდონში დაბრუნდება და ინგლისელთა თავკაცს ბექჰემის შესახებ მოახსენებს. ბალდინის მოხსენებაზე ბევრადაა დამოკიდებული, გამოიძახებენ თუ არა დევიდს ეროვნულ გუნდში. 26 მარტს ინგლისი საფრანგეთს ესტუმრება. 32 წლის ნახევარმცველი მე-100 კეპის მოხვეჭას მოუთმენლად ელოდება. "გალაქსისა" და "დალასის" შეხვედრისას ტრიბუნებზე თავისუფალი ადგილი არ იყო. 20 500 ბილეთი დიდი ხნით ადრე გაიყიდა.

აქვე კიდევ ერთი ინფორმაცია ინგლისელთა ბანაკიდან. "ნიუს ოფ ზე უორლდის" ცნობით, ნაკრების კაპიტანი **ჯონ ტერი** ან **რიო ფერდინანდი** იქნება. კაპელოს წინამორბედის, **სტივ მაკლარენის** დროს ამ მოვალეობას "ჩელსის" ცენტრალური მცველი ასრულებდა. შვეიცარიასთან თებერვლის მატჩისას კაპელომ სამკლაური ლივერპულელ **სტივ ჯერარდს** ჩააბარა. დონ ფაბიომ განაცხადა, რომ გუნდის კაპიტანს მხოლოდ მუნდიალის შესარჩევი ტურნირის წინ დაასახელებს.

### სვენმა ოუენს სიტიში უხმო

სვენ გორან ერიქსონმა მაიკლ ოუენი "მანჩესტერ სიტიში" მიიწვია. ინგლისის ნაკრების ფორვარდს კონტრაქტი გაისად ზაფხულში ეწურება. ჯორდები პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვიან. გუნდში კრიზისი მძვინვარებს. ოუენისათვის თანამშრომლობის გაგრძელება ჯერ არ შეუთავაზებიათ. 28 წლის ფორვარდი "ნიუკასლში" 2005 წლის ზაფხულში, მადრიდის "რეალიდან" გადავიდა. მის სანაცვლოდ 17 მილიონი გირვანქა გადაიხადეს. გასულ ზაფხულს ფეხბურთელი 10 მილიონი გირვანქა ღირდა. თუ "სიტი" ტრანსფერს დააპირებს, სავარაუდოდ, ამ თანხის დახარჯვა მოუხდება. სპეკულაციების თანახმად, სვენს შემადგენლობის გასაძლიერებლად 40 მილიონ გირვანქას მისცემენ. ერიქსონსა და ოუენს ერთმანეთთან ინგლისის ნაკრებში გატარებული ხუთი წელიწადი აკავშირებთ.

### ფიგუს ლონდონში ელოდებიან

"ნიუს ოფ ზე უორლდის" ცნობით, "ქუინზ პარკ რეინჯერსი" **ლუიშ ფიგუს** ეპატიჟება. პორტუგალიელ გალაქტიკოს სეზონის ბოლოს ლონდონში გადასვლას სთავაზობენ. "რეინჯერსს" ამბიციური გეგმები აქვს. მას სურს, გაისად პრემიერლიგის საგზური მოიპოვოს. კლუბს ახალი მფლობელები ჰყავს. ის "ფორმულა ერთის" ბოსებმა, **ფლავიო ბრიატორემ** და **ბერნი ეკლსტოუნმა** შეიძინეს. იმასაც ამბობენ, რომ "რეინჯერსში" წილს ფლობს ინდოელი **ლაქშმი მიტალი**. ის ფოლადის მაგნატია და მსოფლიოს მეოთხე უმდიდრესი ადამიანი გახლავთ. ინვესტორებმა მთავარ მწვრთნელად იტალიელი **ლუიჯი დე კანიო** მიიწვიეს. ახლა კი მსოფლიო დონის ფეხბურთელი სჭირდებათ. 35 წლის ფიგუ იდეალური ვარიანტია. მას "ინტერთან" კონტრაქტი ივნისში უმთავრდება და ინგლისში გადასვლა უკომპენსაციოდ შეუძლია.

საქართველოს ჩემპიონატი

# ქარმა ცხრილს სახურავი გადახადა

**16 მარტი. სპორტის სასახლე**

**დინამო-თსუ 85:73**

23:21, 21:16, 20:20, 21:16

დინამო: გულისაბედაშვილი (12 ქ, 5მ, 3ჩ), ჟლენტი (9ქ, 6მ, 7პ), ლაფანაშვილი (24ქ, 5მ, 3პ), მაისურაძე (4ქ), ათანელიშვილი (6ქ), ახალკაცი (5ქ), სანიკიძე (25ქ, 13მ)

თსუ: არწივიძე (3ქ), ფანჩულიძე (6ქ), დ. ბერიშვილი (2ქ, 3პ), ბარბაქაძე (21ქ, 6მ, 3პ, 4ჩ), კოხრეიძე (3ქ, 5მ, 3პ), ყველაშვილი (10ქ, 7მ), ხიზანიშვილი (3ქ), კეიდია (5ქ), ხეცურიანი (13ქ, 5მ, 4პ), ტყეშელაშვილი (7ქ), ბ. ნოზაძე

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, ხ. გაბედავა

**ვითა-ენერჯი 87:80**

23:19, 27:14, 8:20, 29:27

ვითა: ნ. ნოზაძე (10ქ, 3პ), ბეჟანიშვილი (1ქ), მ. ბერიშვილი (31ქ, 5მ, 4პ, 3დ), მარხვაშვილი (14ქ, 3პ), მარკოიშვილი (13ქ), გვიმრაძე (9ქ, 7მ), ლ. ნოზაძე (5ქ, 9მ), ძიძიგური (4ქ, 3პ)

ენერჯი: გამყრელიძე (7ქ, 7მ, 11პ), ბაბიაშვილი (10ქ), სტეფანოვი (28ქ, 18მ), ბოისა, დიდია (1ქ), ლეჟავა (12ქ), გოგობერიშვილი (1ქ), ტუჯანი (12ქ, 8მ, 2დ), ჭოჭუა (3ქ), ჩიტაშვილი (6ქ, 8მ, 3პ)

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, დ. არეშიძე

**მაკაბი-ავიამშენი 63:87**

15:24, 19:18, 19:21, 10:24

მაკაბი: ი. ბერიშვილი (10ქ), სორდია (6ქ, 5პ), გ. შერმადინი (21ქ, 7მ, 3პ, 3დ), პირველაშვილი (11ქ), კორკოტაძე (1ქ, 6მ), კოლუაშვილი (3ქ), ს. შერმადინი (11ქ, 8მ), ჯიქია, იოსელიანი, ახმედიანი

ავიამშენი: ბერაია (15ქ), ხოშტარია (17ქ), ნიკოლაძე (20ქ, 3პ), კვიმსაძე (3ქ), ტულუში (11ქ, 13მ, 11პ), იმნაძე (7ქ, 12მ), ნინიაშვილი (5ქ, 11მ), მათიაშვილი (8ქ, 5მ, 2დ), როდუმტა (1ქ)

მსაჯები: მ. კუპატაძე, გ. მიქელაძე

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ენერჯი | 21 | 17 | 4 | 38 |
| 2. თსუ | 21 | 12 | 9 | 33 |
| 3. ავიამშენი | 21 | 11 | 10 | 32 |
| 4. ვითა | 21 | 10 | 11 | 31 |
| 5. დინამო | 21 | 9 | 12 | 30 |
| 6. მაკაბი | 21 | 4 | 17 | 25 |

**მოდით, საუბარი სათაურის განმარტებით დავიწყოთ: გუშინ ჯერ "დინამომ" მეორეადგილოსანი თსუ დასცა ზურგზე, შემდეგ "ვითამ" პირველადგილოსანი "ენერჯი" - სუფთაზე. ცხრილის გადახდილი სახურავის ქვეშ კი გამოჩნდა ლიდერთა ბევრი ნაკლოვანი მხარე.**

თსუ-ს მწვრთნელ **ნუგზარ ჭეიშვილთან** ხშირად მისაუბრია ტაქტიკაზე, საინტერესოა ამ გუნდის შეტევითი და დაცვითი სტრატეგიების გაცნობა, მაგრამ გუშინ "დინამოსთან" მატჩში ყოველგვარ ტაქტიკაზე მაღლა ერთი კომპონენტი აღმოჩნდა - მონდომება. მოგების სურვილის არქონას თსუ-ს კალათბურთელებს ვერ დავწამებთ, მაგრამ მატჩისას დინამოელები უფრო მოტივირებულები ჩანდნენ. ეს არც საწყენია და არც გასაკვირი - სატურნირო ცხრილს თუ დავხედავთ, შევნიშნავთ, რომ **ზაზა ცაგარეიშვილის** "დინამო" მეხუთე ადგილზეა. ფლეი ოფში კი საუკეთესო ოთხეული გადის, ჰოდა, **სანიკიძით** გაძლიერებული დილმელები ყველა ქულისთვის კბილებით იბრძვიან. მათ თსუ-საც არაფერი დაუთმეს, იმდენი იტრიალეს, რომ მეტოქე აიძულეს ორჯერ მეტჯერ დაერღვია თამაშის წესი ("დინამო" 14 ფოლი, თსუ - 30). შესაბამისად, ზაზა ცაგარეიშვილის შეგირდებმა 42 საჯარიმო ისროლეს (მხოლოდ 21 გამოიყენეს), ხოლო სტუდენტებმა 13-დან 13 ტყორცნა ჩააგდეს. მაგრამ ამ ციფრების მიხედვით ძნელია იმის თქმა, რომ ნუგზარ ჭეიშვილის გუნდი უფრო კონცენტრირებული იყო. თამაშიდან სროლების რეალიზაციაში "დინამომ" მეტოქეს ერთი-ორად აჯობა: 39\23 ორქულიანი, 17\6 სამიანი - "დინამოს", 44\21 ორიანი, 34\6 სამიანი - თსუ-ს.

მატჩის მსვლელობაზე საუბარი ორი სიტყვითაც შეიძლება: "დინამომ" თავიდანვე მცირე უპირატესობა მოიპოვა და მისი შენარჩუნება არც ბოლო წუთებზე გასჭირვებია. თსუ-მ კი ჩვეული, ლაღი კალათბურთი ვერ უჩვენა.

შეხვედრის ბოლოს ჟურნალისტებს შორის გაჩაღდა მსჯელობა, პირველი მატჩიდან ვინ შეიძლებოდა ტურის საუკეთესოდ წარგვედგინა. კანდიდატი ორი იყო, **ლექსო ლაფანაშვილი** და ვიქტორ სანიკიძე. პირველმა 24 ქულა, 5 მოხსნა და 3 პასი. ვიქტორმა კი 25 ქულას 13 მოხსნა, 2 პასი და 1 ჩაჭრა მიამატა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ "დინამოს" მწვრთნელ ზაზა ცაგარეიშვილსაც ვკითხეთ ვის გვირჩევდა საუკეთესოდ, მაგრამ...

..."ვითა"-"ენერჯის" შეხვედრაში თავი გაიგიჟა თბილისელმა **მიხეილ ბერიშვილმა.** მან 34 წუთში 31 ქულა, 5 მოხსნა, 4 პასი და 3 დაფარება ჩაიწერა. მიშამ საოცარი სიზუსტით ისროლა როგორც შორი, ასევე ახლო დისტანციიდან: 5-დან 5 ორქულიანი, 6-დან 5 სამიანი, 10-დან 6 საჯარიმო. ასე რომ, 21-ე ტურის MVP-ს მიშა ბერიშვილს სამი ჯილდო გადაეცამა - კინოთეატრ "რუსთაველის" ბილეთები, ტავერნა "ტუკანის" VIP მოსაწვევი და ფიტნესკლუბ "პრაიმ-ფიტნესის" ერთთვიანი აბონემენტი.

დავუბრუნდეთ სპორტის სასახლეს, რომელშიც ყველასთვის მოულოდნელად "ვითამ" საწყის 20 წუთში თავბრუ დაახვია ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერ რუსთავის "ენერჯის". ზურაბ ტომარაძის მითითებით ვითელებმა დაცვაში თამაში პრესინგით დაიწყეს და მალევე გადავიდნენ ზონურ დაცვაზე, რომლის დაშლა "ენერჯის" კალათბურთელებს პირველ ტაიმის ბოლომდე გაუჭირდათ. დავინტერესდით, როგორ ვერ მოახერხეს მრავალმხრივმა რუსთაველებმა თბილისელთა დაცვაში ხვრელების პოვნა და აი, თავად **ზურაბ ტომარაძემ** რა გვითხრა: *"დავით უსტიაშვილის გუნდს ზონის დაშლა კარგად შეუძლია. თუმცა "ენერჯის" მოქმედება ბოლომდე გვაქვს შესწავლილი და მათ მიერ ზონის დაშლის საპირისპიროდ ჩვენც შევიმუშავეთ გარკვეული ტაქტიკა და მას ვცდიდით. პირველ ტაიმში ეს კარგად გამოგვივიდა, მეორეში სულ სხვაგვარი თამაში წავიდა".*

- ვერ ხედავ, დავით უსტიაშვილი როგორი გაბრაზებულია... თუ "ენერჯი" "ვითას" "უწვება", ამ ლოგიკით თსუ-საც შეიძლებოდა "დინამოსთვის" დაეთმო...

ამ მოსაზრებას ყოველგვარი საფუძველი გამოაცალა მეორე ტაიმმა. მესამე ათწუთეულში დავით უსტიაშვილის შეგირდებმა პრესინგს მოედნის მთელ სიგრძეზე მიმართეს და მეოთხედი 20:8 მოიგეს.

მეოთხე პერიოდში სიტუაცია ერთიორად დაიძაბა: ვითელები ნერვიულობდნენ იმის გამო, რომ შეტევაში ბევრი არაფერი გამოსდიოდათ, რუსთაველები მსაჯებმა აალელვეს - ჯერ **იოვან სტეფანოვს** უსამართლოდ მისცეს განზრახ ჯარიმა, შემდეგ მიხეილ ბერიშვილის დაფარება გააპროტესტეს და მწვრთნელის მოედანზე შეჭრის გამო ტექნიკური შენიშვნა დაიმსახურეს. პირველ ტაიმში სტუმრებმა კიდევ ერთი ასეთი ფოლი მიიღეს - **ანატოლი ბოისამ** არბიტრ **დავით ბერეკაშვილს** კვალიფიკაციის ასამაღლებლად უცხოეთში წასვლა ურჩია. ეს ის შემთხვევა იყო, როცა მსაჯობამ მხოლოდ ერთი მხარე აალელვა.

ჰოდა, ასეთ დაძაბულობას ანგარიშში სხვაობის 5 ქულამდე შემცირება მოჰყვა, **ლაშა გამყრელიძემ** სამქულიანი ჩააგდო და - 58:63. ლაშას შემდეგ სნაიპერობა სერბმა **იოვან სტეფანოვმა** იკისრა და რამდენიმე კომპლიმენტიც დაიმსახურა - ყოჩაღ ვანოო! ...მაგრამ მთელი რუსთავის მონდომება გუშინ წყალში გადაყარა ვითელმა მიშა ბერიშვილმა, რომელმაც ხან ფარქვეშიდან, ხან პერიმეტრიდან ზუსტი ტყორცნებით მეტოქეს დაწევის უფლება არ მისცა. 87:80 - "ვითას" სასარგებლოდ.

დღის ბოლო მატჩში ტურის საუკეთესო კალათბურთელის ჯილდოს მაძიებელი კიდევ ერთი მოთამაშე გამოჩნდა, მაგრამ ვერც **კოტე ტულუშის** სამმაგმა დუბლმა (11 ქულა, 13 მოხსნა, 11 პასი) გადაწონა მიხეილ ბერიშვილის ოქროს 31 ქულა. კოტეს "ავიამ" კი იოლად დაამარცხა "მაკაბი", რომელმაც ლიდერის, **გიორგი შერმადინის** გარეშე მთელი მეოხე პერიოდი ითამაშა. გოგიტამ მეხუთე ფოლი 30-ე წუთზე მიიღო.




ვითა-ენერჯი. ბურთით გიორგი მარკოიშვილი

ნუგზარ სუარიძის ფოტო

საწყის 20 წუთში დაცვის პარალელურად ვითელები შეტევაშიც უშეცდომონი იყვნენ: 12-დან 9 სამქულიანი (!) და 13-დან 7 ორიანი ჰქონდათ რეალიზებული, მაშინ, როცა რუსთაველებს 23-დან 5 სამქულიანი ჩაეგდოთ. ვიდრე დიდი შესვენების მაუწყებლად მოედანზე "ვერნისაჟის" მოცეკვავე გოგონები გამოვიდოდნენ, "ვითამ" 50:33 დაწინაურება მოახერხა.

შესვენებისას ზურგსუკან ერთი გაცხარებული ქომაგის ხმა შემომესმა, რომელსაც გვერდიდან ვიღაცა შეეპასუხა:

- "ენერჯი" ისე საზიზღრად თამაშობს, რომ ეჭვი გამიჩნდა, თამაში ჩაწყობილი ხომ არ არის!

ბოლოს მკითხველს ერთს ვთხოვთ - განახლებულ სპორტის სასახლეში ნამდვილი ბრძოლები ახლა იწყება, სხვა შემთხვევებისგან განსხვავებით, კალათბურთზე მისვლას აღარ ინანებთ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

# მოგებაც გამოურია




ატლანტა-კლიპერსი

**ზაზა ფაჩულიას** "ატლანტამ" წყვილად წაგებებში მოგებაც გამოურია - შინ "ლოს ანჯელეს კლიპერსს" 117:93 მოუგო.

ეს გახლდათ არა მხოლოდ ჯორჯიელთათვის, არამედ ზაზასთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მატჩი. ჯერ ერთი იმიტომ, რომ "ატლანტამ" წლეულს პირველად იმარჯვა 10-ზე მეტი ქულის სხვაობით. ხოლო ზაზამ 19 თებერვლის პირველად ითამაშა 20 წუთი და მას მერე პირველად მიაღწია 10 მოხსნას.

"კლიპერსთან" ფაჩულიამ 20 წუთში 5 ქულა, 10 მოხსნა და 2 შედეგიანი გადაცემა ჩაიწერა.

**ვახტანგ ტყეშელაშვილი**

ჩოგბურთი

# კარიერის მეორე ტიტული

17 წლის **ოქსანა კალაშნიკოვამ** კაიროს საერთაშორისო ტურნირის წყვილთა თანრიგი მოიგო. ოქსანა ერთეულთა თანრიგში მსოფლიოს 651-ე ჩოგანია, ახალგაზრდებში კი მე-14. წყვილებში ის 406-ე ჩოგანია, თუმცა ეგვიპტური ტრიუმფის შემდეგ ის მნიშვნელოვნად წაიწევს წინ მსოფლიო კლასიფიკაციაში.

კაიროში წყვილთა თანრიგში ოქსანა, რუს **გალინა ფოკინასთან** ერთად, ორგანიზატორებმა მესამე ნომრად განთესეს. პირველ წრეში მათ ჩეხი **დობრა** და რუსი **მოსკალი** დაამარცხეს – 6:3, 6:1. მეოთხედფინალში შვედი **ერიქსონი** და დანიელი **იენსენი** - 6:1, 6:2. ნახევარფინალში ოქსანას თანამემამულე **მანანა შაფაქიძესთან**, რომელიც რუს **ციბიშევასთან** ერთად მეორე ნომრად იყო განთესილი, მოუწია დაპირისპირება - 6:1, 6:1. ფინალში კალაშნიკოვა და ფოკინა, რომელიც ადრე წყვილთა თანრიგში ასეულის ჩოგბურთელი იყო, რუსებს (**ჩალოვა, სოკოლოვა**) დაუპირისპირდნენ. ოქსანამ და გალინამ სეტის დაუთმობლად დაამთავრეს ტურნირი – 6:4, 6:2. ეს ქართველი ჩოგბურთელის მეორე ტიტულია დიდებში, შარშან მან გერმანულ გარხინგში (10 ათასი დოლარი) ასევე წყვილთა თანრიგში იმარჯვა.

ერთეულთა თანრიგში მე-8 ნომრად განთესილმა ოქსანა კალაშნიკოვამ ნაკლები წარმატებით ითამაშა, მან მეოთხედფინალში ჩეხ სიმონა დობრასთან წააგო – 6:4, 3:6, 5:7. ამავე რაუნდში მანანა შაფაქიძემ მე-2 ნომრად განთესილ რუმინელ **ალექსანდრა კადანტუსთან** დათმო – 3:6, 4:6.

კალაშნიკოვა და შაფაქიძე ეგვიპტეში რჩებიან, სადაც სუეცის საერთაშორისო ტურნირში (10 ათასი დოლარი) იასპარეზებენ. ამ ტურნირის საკვალიფიკაციო ბადე უკვე დაიწყო. იქ ორგანიზატორებმა სამი ქართველი „უაილდ ქარდით" დააჯილდოვეს. **თეონა ცერცვაძემ** ყაზახ **ოლგა იპოლიტოვას** მოუგო – 6:0, 6:3. **მარიამ კუპრეიშვილმა** ინდოელ **აკშიტა ბასავარაჯუსთან** წააგო – 5:7, 4:6. **ანა ჯიქიამ** ვერაფერი დაუპირისპირა უკრაინელ **იულია ჰნატეიკოს** – 3:6, 3:6.

სანკტ პეტერბურგში „ნევის თასზე" (25 ათასი დოლარი) ძირითად ბადეშია **სოფიო შაფათავა,** რომელიც პირველ წრეში რუს **დარია გავრილოვას** ხვდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ოქსანა კალაშნიკოვა

# აზერბაიჯანელთა ქართველი ლეგიონერი



ფარიდ მანსუროვი ტამპერეში არ იჭიდავებს

ახლოვდება ევროპის ჩემპიონატი - იგი 1-6 აპრილს ფინურ ტამპერეში გაიმართება და წამყვანი გუნდები უკვე ასახელებენ იქ წასაყვან შემადგენლობებს. ამჯერად თქვენს ყურადღებას აზერბაიჯანის ნაკრებებზე შევაჩერებთ, სადაც საინტერესო ამბებია - ორივე გუნდს თითო ოლიმპიური ჩემპიონი დააკლდება.

დავიწყოთ "თავისუფლებით", სადაც ევროპის 3-გზის და ოლიმპიური ჩემპიონი **ნამიგ აბდულაევი** (55) არ იჭიდავებს. ნაკრების თავკაც **მაგომედხან არაცილოვის** თქმით, ამის მიზეზი ქვეყნის ჩემპიონატში მისი მარცხი გახდა - მესამეზე გავიდა. მის ნაცვლად ქვეყნის ჩემპიონი **აბილ იბრაგიმოვი** იასპარეზებს. არაცილოვის თქმით, რაკი ამ წონაში ლიცენზია არა აქვთ, აბდულაევს ოლიმპიურ ნაკრებში მოხვედრის შანსი ისევ ექნება, თუ კონტინენტის პირველობის შემდეგ გასამართ სალიცენზიო ტურნირებში წარმატებით გამოვა.

ბარემ აქვე მათი ნაკრებს შემადგენლობასაც გაგაცნობთ: **აბილ იბრაგიმოვი** (55), **ემინ აზიზოვი** (66), **ჩამსულვარა ჩამსულვარაევი** (74), **ნოვრუზ ტემრეზოვი** (84), **ხეტაგ გასიუმოვი** (96) და **ალი ისაევი** (120). რაც შეეხება 60-ს, აქ არაცილოვი **ნამიკ სევდინოვის** წაყვანას ფიქრობს, თუმცა ეს საკითხი ჯერ საბოლოოდ არაა გადაწყვეტილი. ცნობისათვის - სევდინოვი ძირითადად 55-ის მოჭიდავეა.

აზერბაიჯანელებს "ანტიკოსთა" შემადგენლობა ჯერ მთლად ასე მკაფიოდ არ დაუსახელებიათ, მაგრამ ცნობილია, რომ ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპონი **ფარიდ მანსუროვი** (66) ფინეთში არ იჭიდავებს. მას მთელი ოთხი თვე არსად უჭიდავია და მარტის დასაწყისში უნგრულ სომბათჰეიში "ოქროს დიდ პრიზზე" იჭიდავა. მას ოლიმპიადისთვის საგანგებო გრაფიკით მომზადება გადაუწყვეტია და ევროპირველობის მერე ორ ტურნირში აპირებს გამოსვლას.

სამაგიეროდ, აზერბაიჯანელთა ნაკრებში იჭიდავებს **შალვა გადაბაძე** (84), რომელიც ცოტა ხნის წინათ წავიდა აზერბაიჯანში. თუმცა გადაბაძე მათი ერთადერთი ლეგიონერი არაა - 96-ში რუსთა ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონის **ალექსეი მიშინის** ძმა **დენის მიშინია**.

სიტყვა გადაბირებულებზე ჩამოვარდა და უნდა ითქვას, რომ აზერბაიჯანელებს ნატურალიზაცია ძალიან ჰყვარებიათ. ასე მაგალითად, რუსეთიდანაა გადასული მსოფლიოს პრიზიორი, ცოტა უცნაური გვარ-სახელის მქონე ჩამსულვარა ჩამსულვარაევიც - ის ლეკია და თავისი კარიერა რუსეთში დაიწყო. 2-ოდ წლის წინათ მან კრასნოიარსკში, მსოფლიო თასზე **გელა სალირაშვილთან** საჩვენებელი გამოსვლაც კი გამართა რუსეთის ნაკრების ნევრის რანგში. ახლახან აზერბაიჯანის ქალთა ნაკრებშიც გადაუბირებიათ ერთი რუსი სპორტსმენი.

**ირაკლი თავაძე**



# საქართველოს რეკორდი კანზასის შტატში

17 მეტრი და 85 სანტიმეტრი - ამიერიდან ასეთია ქალთა შორის საქართველოს ახალი რეკორდი ბირთვის კვრაში 23 წლამდელთათვის. წინანდელი რეკორდი 17,44 სმ იყო, რომელიც ჩვენმა ოლიმპიელმა **მარიამ ქევხიშვილმა** ბაქოში დააფიქსირა ათენის ოლიმპიადის წინ. ახალი რეკორდიც მას ეკუთვნის და იგი გასულ შაბათს დაამყარა მარიამმა ამერიკის კანზასის შტატში ქვეყნის სტუდენტთა ნაციონალურ ჩემპიონატში. თანაც ქართველი სტუდენტი, ამ უმაღლესი რანგის ტურნირში ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა. წლეულს, მარიამისთვის, საერთოდ, ეს იყო მეექვსე შეჯიბრება, აქედან სამი მოიგო, სამში კი მეორე იყო.



მარიამ ქევხიშვილი

შეგახსენებთ, რომ მარიამ ქევხიშვილი აშშ-ში სწავლობს და იქაურ სპორტულ კლუბში იმაღლებს ოსტატობას. ამასწინათ როგორც ვწერდით, მარიამმა ამერიკაშივე შესრულა ათენის ოლიმპიადის სალიცენზიო ნორმატივი - 17,44 სმ.

**თენგიზ თომაშვილი**



# ჯუმბერ ლეჟავა პეკინისკენ!



ჯუმბერ ლეჟავა

მსოფლიო ველომოგზაური **ჯუმბერ ლეჟავა** დღეს ბაქოშია. აქ იგი გასულ პარასკევს ჩავიდა, დაისვენა, ორგანიზაციული საკითხები მოაგვარა და დღესვე გზას ირანის მიმართულებით გააგრძელებს. პეკინამდე იგი თავისი განუყრელი ველოსიპედით 11 ათას კილომეტრს დაფარავს და XXIX ოლიმპიური თამაშების საზეიმო გახსნის თანამონაწილე გახდება 8 აგვისტოს.

ცნობილმა მოგზაურმა, როგორც ხვდებით, თავისი ახალი ლაშქრობა პეკინის ოლიმპიურ თამაშებს მიუძღვნა, ჩანაფიქრის ხორცშესხმაში კი თანადგომა აღმოუჩინეს საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებმა და კერძო ფირმებმა.

*"აზერბაიჯანში საქართველოს საელჩომ და პირადად ელჩის პირველმა მოადგილემ მამუკა ბალავაძემ ბაქოში ჩასვლისთანავე ჩემდამი დიდი ყურადღება გამოიჩინეს, რისთვისაც მადლობელი ვარ. ახლა ირანისკენ ავიღებ გეზს, იქიდან მინდოდა ავღანეთში გადავსულიყავი, მაგრამ ქვეყანაში არასტაბილურობის გამო უსაფრთხოების გარანტიებს ვერ იძლევიან. ამიტომ გადავწყვიტე ირანის შემდეგ გზა გავაგრძელო თურქმენეთის გავლით, რომელიც ჩემს მარშრუტში მონიშნული მქონდა, როგორც სათადარიგო ვარიანტი"* - უთხრა გუშინ, ტელეფონით საუბრისას, ჩვენ კოლეგას, წარსულში აფხაზეთში "ლელოს" კორესპონდენტს, ვეტერან ჟურნალისტს **თენგიზ პაჭკორიას**.

"ლელო" თავის მხრივ შეეცდება სისტემატურად მოგაწოდოთ ჯ. ლეჟავას ახალ ველომოგზაურობასთან დაკავშირებული ცნობები.

**თენგიზ თომაშვილი**



საქართველოს ჩემპიონატი. ვაჟები

# პირველი ტური ოთხი ტაი-ბრეიკი



მიხეილ მჭედლიშვილი

| მეთექვსმეტედფინალი | |
|---|---|
| **მიხეილ მჭედლიშვილი** (2635)-ზვიად ფაცია (2213) | 1:0; 1:0=2:0 |
| **ლევან ფანცულაია** (2629)-ალექსანდრე ყაშაშვილი (2272) | 1:0; 1:0=2:0 |
| **თამაზ გელაშვილი** (2622)-თამაზ მგელაძე (2289) | 1:0; 1:0=2:0 |
| **დავით არუთინიანი** (2576)-ნინო ბაციაშვილი (2317) | 1:0; 0.5:0.5=1.5:0.5 |
| **ლევან აროშიძე** (2535)-ირაკლი ცქიტიშვილი (2332) | 1:0; 0.5:0.5=1.5:0.5 |
| **კონსტანტინე შანავა** (2521)-შოთა აზალაძე (2353) | 1:0; 0.5:0.5=1.5:0.5 |
| **ზურაბ სტურუა** (2515)-ვარლამ ვეფხვიშვილი (2359) | 1:0; 0.5:0.5=1.5:0.5 |
| გიორგი ბალათუროვი (2498)-**დავით ბენიძე** (2359) | 0:1; 0.5:0.5=0.5:1.5 |
| ხვიჩა სუპატაშვილი (2466)-პარმენ გელაზონია (2361) | 0:1; 1:0=1:1 |
| დავით ჯოჯუა (2463)-დავით ზარქუა (2377) | 0.5:0.5; 0.5:0.5=1:1 |
| თორნიკე სანიკიძე (2461)-ივერი ჭილლაძე (2389) | 1:0; 0:1=1:1 |
| **გიორგი მარგველაშვილი** (2455)-ლუკა პაიჭაძე (2396) | 0.5:0.5; 1:0=1.5:0.5 |
| **მიხეილ კეკელიძე** (2454)-დავით ლომსაძე (2400) | 0.5:0.5; 1:0=1.5:0.5 |
| **დავით მაღალაშვილი** (2449)-გიგა ყუფარაძე (2407) | 1:0; 0.5:0.5=1.5:0.5 |
| **ბეგლარ ჯოგავა** (2446)-გაიოზ ნიგალიძე (2420) | 0.5:0.5; 1:0=1.5:0.5 |
| ბაჩანა მორჩიაშვილი (2434)-ლევან ბრეგაძე (2427) | 0.5:0.5; 0.5:0.5=1:1 |

პარასკევს საქართველოს ვაჟთა 67-ე ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალი შედგა, მონაწილეთა სიაც საბოლოოდ დადგინდა და წყვილებიც გახდა ცნობილი. წლეულს ჩემპიონატი ნოკაუტსისტემით იმართება. სულ 32 მოჭადრაკე შეიკრიბა ფინალში და, აქედან გამომდინარე, მეთექვსმეტედფინალიდან დაიწყეს ურთიერთობის გარკვევა. რეიტინგფავორიტი **მიხეილ მჭედლიშვილია**. პირველ ტურში იგი 32-ე ნომერ **ზვიად ფაციას** შეხვდა. მეორე **ლევან ფანცულაია** - ის 31-ე ნომერ **ალექსანდრე ყაშაშვილს** დაუპირისპირდა. ასეთივე მიმდევრობით შეირჩა დანარჩენი წყვილებიც.

აღსანიშნავია, რომ ქალთა ჩემპიონატისგან განსხვავებით, ვაჟებისთვის მოსაფიქრებლად მთელ პარტიაზე 90 წუთია განკუთვნილი, ყოველ სვლაზე 30 წამის დამატებით. პირველ ეტაპზე მეტოქენი ორ პარტიას თამაშობენ - ფერთა მონაცვლეობით; მხოლოდ ფინალური და მესამე ადგილისთვის მატჩების რაოდენობაა ორჯერ გაზრდილი - ოთხ პარტიაში გამოვლინდება ამ ეტაპზე გამარჯვებულები.

შაბათს პირველი ტური შედგა და სენსაციური არა, მაგრამ მოულოდნელი შედეგები კი დაფიქსირდა: **დავით ბენიძემ** თეთრებით დიდოსტატი **გიორგი ბალათუროვი** დაამარცხა - დათო უფროს კოლეგას 143 პუნქტით ჩამორჩება რეიტინგში. **მიხეილ კეკელიძემ** თეთრებით ვერ მოუგო **დავით ლომსაძეს** - ყაიმი. კეკელიძე მეტოქეს 54 პუნქტით უსწრებს, თითქოს ბევრი არ არის, მაგრამ მიხეილი დიდოსტატია და დიდი გამოცდილებაც უმაგრებს ზურგს. დანარჩენ პარტიებში ლიდერებმა კი იმარჯვეს, მაგრამ რამდენიმეს ძალიან გაუჭირდა; **ხვიჩა სუპატაშვილს** კი ლამის ანეკდოტური რამ შეემთხვა: თეთრებით **პარმენ გელაზონიას** ხვდებოდა და ოთხი ეტლის ენდშპილში აბსოლუტურად მოგებული პოზიცია მიიღო, მაგრამ რატომღაც ზედმეტად ჩაფიქრდა და ალამი ჩამოუვარდა (?!). სუპატაშვილი მეორე დღეს შავებით მოგება აუცილებლად სჭირდებოდა; ეს კი ძალზედ რთული რამ გახლავთ - გელაზონიაც რიგიანი მოჭადრაკეა და თეთრი ფერით სასურველი შედეგის - ყაიმის მიღწევა სავსებით ხელეწიფებოდა. ბარემ აქვე ვიტყვით, რომ პარმენმა ამოცანა ვერ შეასრულა - საჭადრაკო თეორიის უბადლოდ მცოდნე სუპატაშვილმა, რომელიც ამავდროულად საქართველოს დამსახურებული მწვრთნელია და სისტემატურად ხელმძღვანელობს საქართველოს ვაჟთა თუ ქალთა ნაკრებებს, დებიუტშივე შეძლო გათანაბრება, შემდეგ კი მცირე პოზიციურ უპირატესობას მიაღწია და ნელ-ნელა გადაზარდა მოსაგებად საკმარის ძალაში - გაიმარჯვა, ანგარიში გაათანაბრა და მეორე ტურში გასვლის საკითხი დღეისთვის გადმოიტანა. დებულებით, ორი შეხვედრის ჯამში თუ ფრე დაფიქსირდა, მომდევნო დღეს გამარჯვებული ორ 25-წუთიან პარტიაში, ყოველ სვლაზე 10 წამის დამატებით, გამოვლინდება. თუ ესეც არ გახდა საკმარისი, მაშინ ორი 5-წუთიანი შეხვედრა შედგება, ყოველ სვლაზე 10 წამის დამატებით. ამანაც თუ ვერ გაარკვია უძლიერესი, მაშინ ერთი პარტია ინიშნება, სადაც თეთრებს 6 წუთი ეძლევათ, შავებს - 5; ყაიმის შემთხვევაში გამარჯვებული შავებით მოთამაშე გამოცხადდება.

სუპატაშვილი-გელაზონიას დარად დღეს ტაი-ბრეიკში ურთიერთობას სამი წყვილი გაარკვევს: **ლევან ბრეგაძე-ბაჩანა მორჩიაშვილი; დავით ზარქუა-დავით ჯოჯუა** და **ივერი ჭილლაძე-თორნიკე სანიკიძე**. ამათგან პირველმა ორმა ორჯერვე ქულა გაიყო, ხოლო სანიკიძემ პირველ პარტიაში იმარჯვა თეთრებით, მეორეში კი ასეთივე წარმატებას ჭილლაძემ მიაღწია.

ულაპარაკო უპირატესობით დაასრულა თავისი მატჩები უპირველესმა სამმა ფავორიტმა: მიხეილ მჭედლიშვილმა ორჯერვე აჯობა **ზვიად ფაციას**; ლევან ფანცულაიამ ალექსანდრე ყაშაშვილი დაამარცხა ორჯერ, ხოლო **თამაზ გელაშვილმა** 2:0 თანაქალაქელ **თამაზ მგელაძეს** მოუგო. აღსანიშნავია, რომ ასეთი წარმატებისთვის სხვებს არ მიუღწევიათ.

**ზვიად შათირიშვილი**

# სტამბოლური დეკადა

თურქეთის უდიდეს ქალაქ სტამბოლში 11 მარტს სტარტი აიღო საკმაოდ ძლიერმა ქალთა ტურნირმა, რომელსაც "სუპერსაც" დაარქმევდა კაცი, რომ არა მასპინძელი მოჭადრაკის, დაბალი რეიტინგის (2207) მქონე **ბეთულ ქემრე ილდიზი**. დანარჩენები ქალთა საჭადრაკო ელიტას ეკუთვნიან და ძალიან სასიამოვნოა, რომ მათ შორის **ლელა ჯავახიშვილიც** არის. ლელას დღეისათვის 2470 ქულა აქვს და მსოფლიოში ოცდამესამეა, აღნიშნულ ტურნირში კი მეშვიდე გახლავთ.

ვიდრე მონაწილეთა სრულ სიას წარმოგიდგენთ, მოგახსენებთ, რომ ტურნირი თურქთა ყველაზე სათაყვანებელი კაცის - ქემალ ათათურქის სახელს ატარებს. საპრიზო ფონდი საკმაოდ მაღალია. 16000 ამერიკული დოლარი განაწილდება 10 მონაწილეზე. გამარჯვებული 5000 დოლარს მიიღებს, მეორეადგილოსანი 3000-ით გამდიდრდება; მესამე ადგილზე - 2000 დოლარია გათვალისწინებული. შემდეგი ადგილები ასე დაფასდება: 4 - 1500; 5 - 1200; 6 - 1000, 7 - 800; 9 - 500; 10 - 400.

ტურნირი წრიული სისტემით, 9 ტურად ჩატარდება. მოსაფიქრებლად პირველ 40 სვლაზე 90 წუთია განკუთვნილი, ყოველ სვლაზე 30 წამის დამატებით; 40 სვლის შემდეგ 30 წუთი ემატება პარტიის ბოლომდე.

უმაღლესი რეიტინგი ტურნირში ჩინური წარმოშობის ყატარელ **ჭუ ჩენს** აქვს (2548); მეორეა ჩინელი თინეიჯერი **ჰოუ იფანი** (2527); მესამე - შვედი **პია კრამლინგი** (2524); მეოთხე ისევ ჩინელია - **ჭაო სიუ** (2517); მეხუთე უკრაინელი **ანა უშენინაა** (2484); მეექვსეა ამერიკელი **ირინა კრუში** (2473); ჯავახიშვილი მეშვიდეა (2470); მერვეა ინდოელი **ჰარიკა დრონავალი** (2455), ხოლო მეცხრეა **ეკატერინა ათალიკი** (2408); მეათე, როგორც უკვე ვთქვით, თურქი ბეთულ ქემრე ილდიზია (2207). ილდიზი საჭადრაკო სამყაროში ცნობილი სახელი არ არი,ს მაგრამ როგორც ჩანს, ნიჭიერი გოგოა და მასპინძლებმა ამგვარად სცადეს მისი წახალისება.



ლელა ჯავახიშვილი

ტურნირის დაწყებიდან ხუთი ტურია გასული და ილდიზმა 1,5 ქულის დაგროვება მოახერხა, რაც ასეთ კომპანიაში ადვილი ნამდვილად არ გახლავთ. შედარებისთვის გეტყვით, რომ რეიტინგით პირველმა ჭუ ჩენმა მხოლოდ ნახევარი ქულის დაგროვება შეძლო. სამწუხაროდ, ეს ლელა ჯავახიშვილთან მოახერხა, თუმცა ქართველს არცთუ ისე ცუდად მისდის საქმე. 2,5 ქულა აქვს და მეექვსე პოზიციაზეა. ლელამ პირველ ტურში ჭაო სიუ დაამარცხა თეთრებით, მეორეში თავად დამარცხდა შავებით დრონავალისთან. ამის შემდეგ ლელამ ყაიმით დაასრულა შეხვედრები შესაბამისად ირინა კრუშთან, ეკატერინა ათალიკსა და ჭუ ჩენთან. მეექვსე ტურში ქართველის მეტოქე უკრაინელი ანა უშენინაა, რომელიც ჩენის დარად ცუდად თამაშობს მიმდინარე შეჯიბრში - მხოლოდ ნახევარი ქულა აქვს. იმედია, ქართველი უკრაინელის უსიამო სერიას არ შეწყვეტს და მთავარი ჯილდოსთვის ბრძოლაში რეალურად ჩაერთვება. სხვა წყვილები ასეთია: ჭუ ჩენი-ჭაო სიუ, ჰარიკა დრონავალი-ჰოუ იფანი, ირინა კრუში-პია კრამლინგი, ეკატერინა ათალიკი-ქემრე ილდიზი.

ხუთი ტურის შემდეგ: 1. პია კრამლინგი - 4; 2. ჰოუ იფანი - 4; 3. ეკატერინა ათალიკი - 4; 4. ჭაო სიუ - 3; 5. ჰარიკა დრონავალი - 2,5; 6. ლელა ჯავახიშვილი - 2,5; 7. ირინა კრუში - 2,5; 8. ქემრე ილდიზი - 1,5; 9. ანა უშენინა - 0,5; 10. ჭუ ჩენი - 0,5.

**ზვიად შათირიშვილი**

ერთა თასი

# რუსებმა მოიგეს და ჩვენ გველიან!

**15 მარტი. კრასნოდარი**

**რუსეთი-რუმინეთი 12:8**

რუსეთი: (15-9) კლუჩნიკოვი, კუზინი, გალინოვსკი, ტრიშინი, გვოზდოვსკი, ი.კუშნარიოვი, შაკიროვი. (1-8) ხროკინი, კორშუნოვი, პრიშეპენკო, ფედჩენკო, კულემინი, კ.კუშნარიოვი, ოსტრიკოვი, გარბუზოვი (16-22) მარჩენკო, ბოტვინიკოვი, პოვესმა, მატვეევ, იანუშკინი, მოტორინი, ბაბაევი - 4ს (ი.კუშნარიოვი).

რუმინეთი: (15-9) ვლაიკუ, ფერკუ, გალი, დასკალუ, ჩუნტუ, დიმოფტე, ანდრეი (1-8) ბასალაუ, ზებეგა, პაულიცა, პეტრე, კოსტე, მაკოვეი, კარპო, მერსოიუ (16-22) მიჰალაკე, ნერე, ურასკე, რუსი, კაპლესკუ, დუმბრავა, ბიგიუ - ლ (პეტრე), ს (ვლაიკუ).

მსაჯი: კოლინ სტენლი (ირლანდია).

კრასნოდარში ერთა თასის მორიგი შეხვედრა რუსეთისა და რუმინეთის ეროვნულ გუნდებს შორის, როგორც მოსალოდნელი იყო, დაძაბული გამოდგა. თითქმის სათადარიგო გუნდით მოთამაშე "მუხის ფოთლებმა" თამაში მეტოქეზე აუფრო აქტიურად დაიწყეს და მე-12 წუთზე ანგარიში საჯარიმოდან **ფლორინ ვლაიკუმ** გახსნა 3:0.

რუმინელთა ეს სამქულიანი უპირატესობა ტაიმის ბოლომდე შენარჩუნდა. მასპინძლებმა საჯარიმოდანვე ბოლო წამებზე გაქვითეს ანგარიში. ზუსტად **იური კუშნარიოვმა** დაარტყა - 3:3.

საბოლოოდ გამარჯვება რუსებს სწორედ კუშნარიოვის საჯარიმოებმა მოუტანა. მან მეორე ნახევარში კიდევ სამჯერ დაარტყა ზუსტად. ჯერ 54-ე წუთზე დააწინაურა თავისიანები 6:3. თუმცა მერე უპირატესობა მთლიანად რუმინელებმა იგდეს ხელთ და 68-ე წუთზე მეორეხაზელმა **ქრისტიან პეტრემ** თამაშში ერთადერთი ლელო გაიტანა. ვლაიკუმ გარდასახვა ვერ გამოიყენა 8:6. დარჩენილ დროში ოთხ-ოთხ წუთიანი შუალედებით კუშნარიოვმა კიდევ ორჯერ გაიტანა და რუსებმა 12:8 მოიგეს.

**ამრიგად ერთა თასის წლევანდელი მფლობელი, 12 აპრილს კრასნოიარსკში, რუსეთისა და საქართველოს ნაკრებების დაპირისპირებაში გაირკვევა.**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რუსეთი | 8 | 7 | 0 | 1 | +125 | 14 |
| 2.საქართველო | 7 | 6 | 0 | 1 | +151 | 12 |
| 3.რუმინეთი | 9 | 5 | 0 | 4 | +64 | 10 |
| 4.პორტუგალია | 9 | 3 | 0 | 6 | -8 | 6 |
| 5.ესპანეთი | 8 | 3 | 0 | 5 | -9 | 6 |
| 6.ჩეხეთი | 7 | 0 | 0 | 7 | -313 | 0 |

**22 მარტი**

რუმინეთი-ჩეხეთი

**29 მარტი**

ჩეხეთი-საქართველო

**12 აპრილი**

რუსეთი-საქართველო

**19 აპრილი**

ჩეხეთი-რუსეთი

**26 აპრილი**

საქართველო-ესპანეთი

**10 მაისი**

ესპანეთი-პორტუგალია

ევროპის ჩემპიონატი. U-18

# ნაგება ინგლისთან

საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის პირველი შეხვედრა მოქმედ ჩემპიონთან დიდი ანგარიშით 3:53 დათმო. არადა თამაშის დასაწყისი მსგავს არაფერს გვიქადდა. ჩვენი გუნდი რაც შეეძლო წინააღმდეგობას უწევდა მეტოქეს და პირველი ნახევარი 3:17 დავთმეთ. თამაშის დასრულებამდე 5 წუთით ადრე კი 3:32 ვაგებდით. როგორც ჩანს, პატარა ბორჯღალოსნებს გამძლეობა აღარ ეყოთ და თამაშის დამთავრებამდე კიდევ სამი ლელო გაგვიტანეს ინგლისელებმა.

ახლა საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრები ელიტაში დასარჩენად იბრძოლებს. ნახევარფინალში ჩვენი მეტოქე [illegible] იქნება, რომელიც ირლანდიასთან დამარცხდა 0:53.

**ევროპის ჩემპიონატი**

**მეოთხედფინალი**

| | |
|---|---|
| ირლანდია-რუსეთი | 53:0 |
| საფრანგეთი-ესპანეთი | 52:6 |
| იტალია-რუმინეთი | 25:0 |
| საქართველო-ინგლისი | 3:53 |

**19 მარტი**

პირველი ადგილისთვის, ნახევარფინალი.

**ინგლისი-ირლანდია**

**საფრანგეთი-იტალია**

მე-5 ადგილისთვის. ნახევარფინალი.

**საქართველო-რუსეთი**

**რუმინეთი-ესპანეთი**

ლეგიონერები

# კლერმონის სენსაცია და ქუბრიაშვილის დებიუტი



ბაიონი-ბრივი . მარჯვნივ დავით ხინჩაგიშვილი

**საფრანგეთის** სარაგბო ჩემპიონატის პირველ დივიზიონში პირველი წრის ბოლო ტურის შეხვედრაში ერთი სენსაციური ანგარიში დაფიქსირდა. საკვირველი იმაში, რომ გოდერძი შვილიძისა და დავით ზირაქაშვილის "კლერმონმა" ქვეყნის ჩემპიონი "სტად ფრანსე" დაამარცხა, არაფერია. მოულოდნელი პარიზელების გამანადგურებელი ანგარიშით ნაგებაა - 12:50.

შარშან ჩემპიონატის ფინალში განცდილი მარცხის გამო "სტად ფრანსესთან" "ვულკანებმა" საკუთარ მოედანზე სრული რევანში აიღეს. მათ მეტოქეს შვიდი ლელო გაუტანეს და როცა 68-ე წუთისთვის 50:0 გახდა, სტუმრებმა მერელა გამოიღეს ხელი. ზირაქაშვილი ამ თამაშში 54-ე წუთიდან ჩაერთო. შველიძე განაცხადში არ იყო.

ამავე ტურში, კიდევ ერთი ქართველი ეზიარა ფრანგულ ელიტურ რაგბის. "მონპელიეს" შემადგენლობაში პირველად გამოჩნდა საქართველოს ნაკრების პირველხაზელი **დავით ქუბრიაშვილი**. მან, **მამუკა გორგოძესთან** ერთად, გასვლით მატჩში, "პერპინიანთან" ძირითად შემადგენლობაში დაიწყო თამაში და 58-ე წუთზე შეცვალეს, გორგოძემ კი ცხრა წუთით მეტი ითამაშა. შეხვედრა კი მასპინძლებმა მოიგეს - 26:6.

სტუმრად **მამუკა მაგრაქველიძის** "ოშს" სძლია **აქვსენტი გიორგაძის** "კასტრმა" 36:15. "გლობუსას" გუნდს ახლა საპლეიოფო ოთხეულს მხოლოდ ერთი ქულა აშორებს. გასკონელთა შემადგენლობაში მაგრაქველიძეს არ უთამაშია. გიორგაძე შეხვედრაში 48-ე წუთიდან ჩაერთო.

სტუმრად **ავთანდილ კოპალიანის** "ბაიონთან" დამარცხდა **დავით ხინჩაგიშვილის** "ბრივი" 18:20. კოპალიანი ტრავმირებულია, ხინჩაგიშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა. ასევე სტუმრად წააგო გათამაშების ლიდერ "ტულუზთან" **ირაკლი გიორგაძის** "დაქსმა" 5:58. გიორგაძე განაცხადში არ იყო.

**საფრანგეთი. I დივიზიონი. XIV ტური. ალბი-ბიარიცი 13:8, ტულუზი-დაქსი 58:5, მონტობანი-ბურგუენი 16:11, ბაიონი-ბრივი 20:18, ოში-კასტრი 15:36, პერპინიანი-მონპელიე 27:6, კლერმონი-სტად ფრანსე 50:12**

**1. ტულუზი - 58 ქულა, 2. კლერმონი - 47, 3. სტად ფრანსე - 39, 4. ბიარიცი - 37, 5. კასტრი - 36, 6. პერპინიანი - 35, 7. მონტობანი - 35, 8. ბაიონი - 32, 9. მონპელიე - 30, 10. ბურგუენი - 29, 11. ბრივი - 27, 12. ალბი - 25, 13. დაქსი - 16, 14. ოში - 10**

მეორე დივიზიონში მოასპარეზე "მონ დე მარსანში" ტრავმის მოშუშების შემდეგ ისევ გამოჩნდა საქართველოს ნაკრების გარემარბი **ირაკლი მაჩხანელი**. სამწუხაროდ, ჩვენებურის გუნდი სტუმრად მინიმალური ანგარიშით 22:23 დამარცხდა ერთ-ერთ კონკურენტ "მეტრო რასინგთან", თუმცა მე-2 ადგილს მაინც ინარჩუნებს. მაჩხანელმა თავიდან ბოლომდე ითამაშა.

ფრეს დასჯერდა შინ აუტსაიდერ "ბლანიაკთან" **გიორგი კუთარაშვილის** "ნარბონი" 22:22. ქართველი პირველხაზელი 24-ე წუთზე გაასინბინეს.

შინ გაიმარჯვა **იგორ ბარბაქაძის** "ტარბთან" **გია ლაბაძის** "ტულონმა" 30:13. ქართველ მორაგბეებს თამაშში მონაწილეობა არ მიუღიათ. საკუთარ მოედანზე დამარცხდა "ბეზიესთან" **მერაბ კვირიკაშვილის** "პო" 9:13. მეკო განაცხადში არ იყო. სტუმრად ფრედ დაასრულა შეხვედრა "ლიმოჟთან" 9:9 **ანტონ ფეიქრიშვილის** "აჟენმა". ფეიქრიშვილი განაცხადში არ იყო.

**II დივიზიონი. XLX ტური. ნარბონი-ბლანიაკი 22:22, ლა როშელი-ბორდო 9:9, ტულონი-ტარბი 30:13, პო-ბეზიე 9:13, მეტრო რასინგი-მონ დე მარსანი 23:22, ლიმოჟი-აჟენი 9:9, ორიაკი-ოიონაქსი 30:6, გრენობლი-ლიონი 13:16**

**1. ტულონი - 68 ქულა, 2. მონ დე მარსანი - 60, 3. მეტრო რასინგი - 57, 4. ბეზიე - 55, 5. ლა როშელი - 54, 6. აჟენი - 50, 7. ოიონაქსი - 44, 8. გრენობლი - 44, 9. ლიონი - 42, 10. ორიაკი - 41, 11. პო - 41, 12. ნარბონი - 39, 13. ბორდო - 33, 14. ტარბი - 25, 15. ბლანიაკი - 20, 16. ლიმოჟი - 19**

**ბესიკ ჯანგავაძე**

სუმო

# მხოლოდ ოსებთან აგებენ

**შაბათს კოკაიმ ოს როჰოსთან** იორიკირით წააგო. ეს ქართველის ზედიზედ მეორე მარცხი იყო ბაშოზე, ხუთმოგებიანი სტარტის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ ორივეჯერ ჩვენებურმა ოს ფალავანთან დათმო. კოკაი და როჰო ელიტაში მე-12 ხვდებოდნენ, აქამდე კოკაი 6:5 იგებდა, როჰომ ურთიერთშეხვედრებში ანგარიშის გათანაბრება და ოსაკას ბაშოზე მეოთხე გამარჯვების მოპოვება შეძლო. კვირას კოკაიმ ორი წაგების შემდეგ შეძლო მეორე მაეგაშირა **ამინიშიკის** დამარცხება, რომელმაც ოსაკას ბაშოზე იოკოძუნა **ჰაკუჰოს** ჯერჯერობით ერთადერთი მარცხი აგემა. ქართველმა იორიკირის ილეთით იმარჯვა, მას 6-2 ბალანსი აქვს. დარჩენილი შვიდი ორთაბრძოლიდან ორიც რომ მოიგოს, კოკაი რეიტინგში წინ წაიწევს. ბაშოს დაუმარცხებლად იოკოძუნა **ასაშორიუ** ლიდერობს. დღეს კოკაის მეტოქე ესტონელი გოლიათი (197 სმ.) **ბარუტო** იქნება. ორივე რიკიშის ერთნაირი ბალანსი აქვს, ურთიერთშეხვედრებშიც 1:1-ია.

მეორე დივიზიონ ძურიოში ერთი წაფორხილების შემდეგ შაბათს მოიგო 20 წლის **ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი)**, მან 111 კილო მონღოლი **ჰოშიჰიკარი** იოლად გაიყვანა დოჰიოდან და ლიდერ **ტოსანოუმის** დაეწია, რადგან ეს უკანასკნელი დამარცხდა. გუშინ, ტოჩინოშინმა როჰოს ძმა **ჰაკუროძანთან** წააგო. ოსმა ქართველს მარცხენა ხელი „ჩაუკეტა", თავად მისი მავაში იგდო და იორიკირის ილეთით გაიყვანა დოჰიოდან. ტოჩინოშინი ძურიოს ორ ლიდერს თითო მოგებით ჩამორჩება, დღეს ის ძურიოს პირველ ნომერს, ყოფილ სეკივაკე **ტოსანოუმის** შეხვდება. ორივე ფალავანს 6-2 ბალანსი აქვს.

მესამე დივიზიონ მაკუშიტაში 27-ე ნომერმა **თეიმურაზ ჯუღელმა** (გაგამარუ) ცუკიოტოშის ილეთით **შორიუს** აჯობა, რის წყალობით 2-2 ბალანსი გაუხდა. დარჩენილი სამი ბრძოლიდან გაგამარუმ ორი უნდა მოიგოს, რომ რეიტინგში კვლავ წინ წაიწიოს. დღეს გაგამარუ მეხუთე ბრძოლაში **აოზორას** შეხვდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჰარუ ბაშო (მარტის სუპერტურნირი)

9-23 მარტი, ოსაკა (იაპონია)

**მაკუუჩი**

VII დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: **კოკაი-როჰო 0:1 (იორიკირი), ჰაკუჰო-კისენოსატო 1:0, ასაშორიუ-ტაკეკაძე 1:0, კაიო-ამა 1:0, ჩიოტაიკაი-კაკურიუ 1:0, ტოკიტენკუ-კოტოოშუ 1:0, ამინიშიკი-კოტომიცუკი 1:0, კოტოშოგიკუ-ასასეკირიუ 1:0, მიაბიამა-ტოიონოშიმა 1:0, ვაკანოჰო-ჰოკუტორიკი 1:0, კიოკუტენჰო-ბარუტო 1:0, დეჯიმა-ვაკანოსატო 1:0, გოეიდო-ტამაკასუგა 1:0.**

VIII დღე: **კოკაი-ამინიშიკი 1:0 (იორიკირი), ასაშორიუ-ვაკანოჰო 1:0, ჰაკუჰო-ტოკიტენკუ 1:0, ამა-ჩიოტაიკაი 1:0, ტოიონოშიმა-კოტოოშუ 1:0, კაიო-კოტომიცუკი 1:0, კოტოშოგიკუ-ტაკეკაძე 1:0, კისენოსატო-კაკურიუ 1:0, მიაბიამა-ასასეკირიუ 1:0, კიოკუტენჰო-ჰოკუტორიკი 1:0, გოეიდო-ვაკანოსატო 1:0, როჰო-ივაკიამა 1:0, ბარუტო-ტოჩიოძანი 1:0.**

მდგომარეობა. 8-0: ასაშორიუ (იოკოძუნა); 7-1: ჰაკუჰო (იოკოძუნა), ტაკამისაკარი (მაეგაშირა 11), ტოჩიოძანი (მ 12), ჰომაშო (მ 13); 6-2: ჩიოტაიკაი (ოძეკი), კაიო (ოძეკი), კიოკუტენჰო (მ 4), კოკაი (მ 5), ბარუტო (მ 7), ჰოკუტორიკი (მ 7), ფუტენო (მ 10).

IX დღე: **კოკაი-ბარუტო, ჰაკუჰო-კოტოშოგიკუ, ასაშორიუ-ამა, კოტოოშუ-ვაკანოჰო, კოტომიცუკი-მიაბიამა, კაიო-ასასეკირიუ, ჩიოტაიკაი-ტოკიტენკუ, კისენოსატო-ამინიშიკი, გოეიდო-კიოკუტენჰო, როჰო-ტოჩინონადა, ფუტენო-ჰოკუტორიკი, ტოჩიოძანი-კასუგაო.**

**ძურიო**

VII დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: **ტოჩინოშინი-ჰოშიჰიკარი 1:0 (იორიკირი), კიტაძაკურა-ტოსანოუმი 1:0, ჰაკუროძანი-კოტოკასუგა 1:0, ტამანოშიმა-ჰაკუბა 1:0, შირონონამი-მოკონამი 1:0.**

VIII დღე: **ტოჩინოშინი-ჰაკუროძანი 0:1 (იორიკირი), ჰოშიჰიკარი- კიტაძაკურა 1:0, ტამანოშიმა- ტოსანოუმი 1:0, ჰაკუბა-კორიუ 1:0, კიტატაიკი-შირონონამი 1:0.**

სატურნირო მდგომარეობა: 7-1: კიტატაიკი (ძურიო 10), კიმურაიამა (ძ 14); 6-2: ტოსანოუმი (ძ 1), ტოჩინოშინი (ძ 4), ტამანოშიმა (ძ 5).

IX დღე: **ტოჩინოშინი-ტოსანოუმი, ტამანოშიმა-ჰოშიჰიკარი, ჰაკუროძანი-მოკონამი, ჩიოჰაკუჰო-კორიუ, კიტატაიკი-საგაცუკასა.**



მარცხნივ კოკაი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურნირების მიმოხილვა

# ვუნდერკინდები და ბებერი ლინდსი


ანა ივანოვიჩი

ინდიან უელსის მასტერსი ნელ-ნელა საინტერესო ფაზაში შევიდა. მეორე წრიდან ბრძოლაში განთესილი ჩოგბურთელები ჩაებნენ.

**რაფაელ ნადალმა** ტიტულის დაცვა კოლუმბიელ **სანტიაგო ხირალდოსთან** მატჩით დაიწყო. ეს უკანასკნელი ძირითად ბადეში კვალიფიკაციიდან მოხვდა, ერთი წრე გაიარა და მსოფლიოს მეორე ჩოგანს გადაეყარა. ხირალდომ მხოლოდ ის მოახერხა, რომ თითო სეტში 3-3 გეიმი აართვა ესპანელს. მატჩის შემდეგ, ნადალმა კმაყოფილება გამოთქვა იმით, რომ ქარის გამო გართულებულ პირობებში, შედარებით იოლად გაიარა კოლუმბიელის ბარიერი.

მეტოქეც უფრო ძლიერი შეხვდა და მესამე წრეში გასასვლელად მეტი ჯაფა დაადგა შანშანდელ ფინალისტს, სერბ **ნოვაკ ჯოკოვიჩს**, რომელსაც იტალიელ **ანდრეას სეპისთან** მეორე სეტში ტაი-ბრეიკის თამაშიც კი მოუწია. არადა, რეიტინგის მესამე ნომერს შეეძლო გაცილებით ადრე მოემთავრებინა საქმე. მეორე სეტში "ჯოკერი" 5:4 იყო წინ და მატჩ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ სეპიმ გეიმი გადაარჩინა, ტაი-ბრეიკამდეც მიაღწია, მაგრამ იქ მხოლოდ სამი ქულის აღება შეძლო.

*"მთავარია, რომ გავიმარჯვე. მატჩის ბოლოს დაშვებული შეცდომები ძირითადად ძლიერი ქარით იყო გამოწვეული"*, - განაცხადა ავსტრალიის ღია პირველობის ჩემპიონმა.

გუშინდელი სათამაშო დღის ცენტრალურ შეხვედრად ფრანგი **რიშარ გასკესა** და შვედი **რობინ სიოდერლინგის** დაპირისპირება მიიჩნეოდა. სიოდერლინგი წელს კარგ ფორმაშია, რაზეც როტერდამისა და მემფისის ტურნირების ფინალში გასვლაც მეტყველებს. მაგრამ ყველასთვის მოულოდნელად, ბრძოლა არ შედგა და გასკემ საათზე ნაკლები დრო მოანდომა შვედი ჩოგბურთელის განადგურებას - 6:3, 6:2.

ინდიან უელსში ადგილობრივი პუბლიკის ყურადღება ამერიკული ჩოგბურთის ამომავალი ვარსკვლავებისკენ არის მიპყრობილი. თავიანთი პირველი მატჩები მოიგეს **ჯონ ისნერმა** და **სემ კუერიმ**. ამერიკელთა კიდევ ერთმა იმედმა, **დონალდ იანგმა** კი, პატარა სენსაცია გამოაცხო. მან ბრძოლას გამოთიშა 32-ე ნომრად განთესილი ესპანელი **ფელისიანო ლოპესი**. ეს უკანასკნელი გასულ კვირას დუბაის პირველი კატეგორიის ტურნირის ფინალში გავიდა და ინდიან უელსშიც დიდ წარმატებას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ სპეციალისტთა პროგნოზები არ გამართლა და იანგმა სამსეტიან ბრძოლაში გაიმარჯვა.

ლოპესის გარდა, ტურნირს კიდევ ორი განთესილი გამოაკლდა- ჩეხი **ტომას ბერდიხი** (მე-10 ნომერი) და ფინელი **იარკო ნიემინენი** (26).

■ ■ ■

სენსაციის გარეშე არც ქალთა ტურნირის მეორე წრეს ჩაუვლია. სწორედ ასეთად მოინათლა მეშვიდე ნომრის, ჩეხი **ნიკოლ ვაიდიშოვას** ნაგება ავსტრალიელ **კეისი დელაკუასთან**. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ვაიდიშოვა ამ სეზონში ვერ ბრწყინავს და რეიტინგში ნელ-ნელა ქვემოთ ეშვება.

ჩეხის გარდა, ტურნირს კიდევ ოთხი განთესილი გამოეთიშა: მე-11 ნომერი **სიბილ ბამერი** (ავსტრია), მე-16 **ვირჟინ რაზანო** (საფრანგეთი), 22-ე **მიხაელა კრაიჩეკი** (ჰოლანდია) და 29-ე **ოლგა გოვორცოვა** (ბელარუსი).

სამაგიეროდ, მესამე წრეში იოლად გაიკვლიეს გზა სერბმა ფავორიტებმა - **ანა ივანოვიჩმა** და **ელენა იანკოვიჩმა**.

პირველ ნომრად განთესილმა ივანოვიჩმა თითქმის ორი საათი მოანდომა რუმინელი **იოანა ოლარუს** ძლევას. არადა, ანასთვის ყველაფერი კარგად დაიწყო. პირველი სეტი მან 27 წუთში მოიგო, მაგრამ მეორე სეტში ყველაფერი აირია. დაიწყო ნერვების თამაში და 55-წუთიან პარტიაში უფრო იღბლიანი ოლარუ აღმოჩნდა - 7:5. სეტებს შორის ანგარიში გათანაბრდა, მაგრამ ივანოვიჩი დროზე მოეგო გონს და მესამე პარტია ისე დაასრულა, ერთი გეიმი არ დაუთმო მეტოქეს.

თითქმის უბრძოლველად მოიგო თავისი მატჩი **ელენა იანკოვიჩმა**. მან ორ სეტში მხოლოდ ორი გეიმი დაუთმო ამერიკელ **აშა როულს** და ახლა მესამე წრეში იაპონელ **აი სუგიამასთან** ელის შეხვედრა.

თუ მამაკაცთა შორის ამერიკელი გულშემატკივრების ყურადღება ახალგაზრდა ჩოგბურთელებისკენ არის მიპყრობილი, ქალებში მათ, პირველ რიგში, ვეტერანი **ლინდსი დავენპორტის** თამაში აინტერესებთ.

